სს „საქართველოს ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებები 5
ფულადი სახსრების კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობები 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 35
5. ბიზნეს კომბინაციები 36
6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 37
7. ფული და ფულის ეკვივალენტები 42
8. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 42
9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 42
10. კლიენტებზე გაცემული სესხები 45
11. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან 48
12. საინვესტიციო ქონება 49
13. ირითადი საშუალებები 51
14. გუდვილი 54
15. გადასახადები 54
16. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები 57
17. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე 60
18. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები 61
19. ავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები 61
20. ძირობითი ვალდებულებები 62
21. კაპიტალი 63
22. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან 65
23. უძრავი ქონებიდან წმინდა შემოსავალი 66
24. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 66
25. წმინდა ნ-დეცცურინგ ხარჯები 68
26. წილობრივი გადახდებ 68
27. რისკის მართვა 71
28. სამართლიანი ღირებულებით შეფასებები 85
29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 95
30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 99
31. კაპიტალის ადეკვატურობა 100
32. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 102

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს საქართველოს ბანკის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს საქართველოს ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს ვარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენსავე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები	***როგორც განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში***
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურება	
სესხის რეზერვის დანაკარგი შეფასებულია დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის საფუძველზე კოლექტიური და ინდივიდუალური გაუფასურების შეფასების კომბინაციის გამოყენებით. როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ რამდენიმე დაშვებაზე, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებსა და ფაქტორებზე როგორიცაა დეფოლტის ალბათობა და დეფოლტის გამომწვევი დანაკარგის ვარაუდები, ასევე მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებები და უზრუნველყოფის შეფასებები. ალტერნატიული უზრუნველყოფის მოდელებსა და ვარაუდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჯგუფის აღიარებულ გაუფასურების რეზერვზე და ანგარიშგებაში ასახულ მოგებებზე. კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია შეტანილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნაში 10, *კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები* და შენიშვნაში 27, *რისკის მართვა*	ჩვენ განვახორციელეთ სესხის დანაკარგის რეზერვირების პროცესების ანალიზი, როგორც კოლექტიურად შეფასებულ, ასევე ინდივიდუალურად გაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით და შევაფასეთ მთავარი კონტროლის ღონისძიებების პროექტი და მოქმედების ეფექტურობა. შევამოწმეთ ინდივიდუალური სესხის დანაკარგის რეზერვის ძირითადი კონტროლის ღონისძიებები, რომელიც მოიცავს იმ სესხების ინდენტიფიკაციაზე კონტროლს, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ინდივიდუალური რეზერვის შეფასებას და მთავარი დაშვებებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მიმოხილვას, მსესხებლების კლასიფიკაცია მათი რისკის ხარისხის შესაბამისად, ვადაგადაცილებული დღეების გაანგარიშებას, და სესხებზე დანაკარგის რეზერვის ხელახალი გადაანგარიშებას, მათ შორის უზრუნველყოფის შეფასებას. კოლექტიურად შეფასებულ სესხზე დანაკარგის რეზერვთან დაკავშირებით ჩვენ შევაფასეთ კოლექტიური უზრუნველყოფის მეთოდოლოგია ასევე ვარაუდები და მონაცემები, გადაანგარიშებულ კოლექტიური სესხზე დანაკარგის რეზერვი და მთავარ მოდელურ მონაცემებში ცვლილებების მიმართ განხორციელებული სენსიტიურობის ანალიზი. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

	ჩვენ განვიხილეთ მონაცემები ჯგუფის გაუფასურების რეზერვის შესახებ.
მიწის, საოფისე შენობების და საინვესტიციო ქონების შეფასება	
საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით ჯგუფი იყენებს სამართლიანი ღირებულების მოდელს. ჯგუფმა დაიქრავა პროფესიონალი შემფასებელი საიმისოდ, რომ განესაზღვრა მისი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. წლის განმავლობაში, ჯგუფმა ნებაყოფლობით შეცვალა საბუღალტრო აღიცხვის პოლიტიკა და გადაფასების მოდელის ნაცვლად თავისი **საოფისე შენობებისა და მომსახურების ცენტრების (მათ შორის დაკავშირებული მიწის ნაკვეთები) შესაფასებლად გამოიყენა ღირებულების მოდელი. ჯგუფმა მოახდინა თვითოეული ძველი ფინანსური ანგარიშგების ხაზის პუნქტის ხელახლა ფორმულირება წინა პერიოდებთან დაკავშირებით** იმგვარად, თითქოსდა ღირებულების მოდელი ამ კლასის ქონებისა და მოწყობილობებისთვის ყოველთვის იყოს გამოყენებული. უძრავი ქონების შეფასებები ძირითადად არაცალსახა და ექვემდებარება შეფასების პროცესს. გარდა ამისა, ჯგუფის უძრავი ქონება ძირითადად მდებარეობს საქართველოში, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით არალიკვიდურია, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შეფასების შედეგებზე და შესაბამისად ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კაპიტალსა და მოგებებზე. ამ შეფასებების მნიშვნელობისა და დაქვემდებარებულობის გამო, ისინი იქცა აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად. მიწის, საოფისე შენობების, მომსახურების ცენტრებისა და საინვესტიციო საკუთრების შეფასების შესახებ ინფორმაცია შეტანილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების *მნიშვნელოვანი საბუღალტრო*	ჯგუფის საინვესტიციო ქონების ნიმუშის შეფასებაში ჩვენ ჩავრთეთ ჩვენი უძრავი ქონების სპეციალისტები. სპეციალისტების შეფასება მოიცავს ჯგუფის მიერ დაქირავებული გარეშე შემფასებლების კომპეტენციას და ობიექტურობას, მეთოდების ანალიზსა და გამოყენებულ ვარაუდებს და შემფასებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემების შემოწმებას. ჩვენ შევაფასეთ შეფასებების შედეგების აღიარება და საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებული ჯგუფის განმარტებითი შენიშვნები. ჩვენ შევამოწმეთ ხელმძღვანელობის დასაბუთება რომელიც ეხებოდა საოფისე შენობებისა და მომსახურების ცენტრების შემდგომ შეფასებებთან დაკავშირებით საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებას, გავაანალიზეთ და შევამოწმეთ შემოთავაზებული აღრიცხვის მეთოდის გამოყენება, მათ შორის კორექტირებები, რომელიც განახორციელა ხელმძღვანელობამ აღნიშნულთან დაკავშირებით წინა პერიოდების ბალანსების კორექტირებებთან დაკავშირებით, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

პოლიტიკის შეჯამებაში შენიშვნაში №3, შენიშვნა 12 *საინვესტიციო ქონება* და შენიშვნა 28 *სამართლიანი ღირებულებით შეფასებები.*	

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ჯგუფის 2017 წლის წლიურ ანგარიშში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლია ხელმძვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რაიმე ფორმით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ► გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ► შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა

კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ► ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ► ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ► მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ► მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

- ჩვენ აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

- ამასთანავე, აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

- აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

- წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

ოლეგ იუშენკოვი
შპს „იუაი საქართველოს” სახელით
თბილისი, საქართველო

2018 წლის 27 აპრილი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016*	2015*
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,501,654	1,487,170	1,376,782
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების	8	1,216,343	940,485	718,677
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი	9	1,613,759	1,283,902	902,240
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	7,445,578	6,379,965	5,322,887
მოთხოვნები ფინანსური იაჯარიდან	11	65,306	13,096	14,010
საინვესტიციო ქონება	12	202,534	152,596	135,453
წინასწარ გადახდები		55,953	12,452	17,662
ძირითადი საშუალებები	13	305,474	277,394	273,058
არამატერიალური აქტივები		50,948	35,814	30,669
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		11,031	9,626	-
გუდვილი	14	33,453	33,453	33,453
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები		696	18,505	988
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	15	130	194	12,106
სხვა აქტივები	16	117,857	88,280	130,926
სულ აქტივები		**12,620,716**	**10,732,932**	**8,968,911**
ვალდებულებები				
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	17	7,123,866	5,773,512	5,025,677
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების	18	3,162,209	3,468,353	1,677,587
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული	19	749,655	177,271	940,945
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		8,753	-	9,658
გადავადებული მოგების გადასახადის	15	11,342	22,169	74,539
რეზერვები	20	2,815	3,380	2,254
სხვა ვალდებულებები	16	80,157	55,103	43,320
სულ ვალდებულებები		**11,138,797**	**9,499,788**	**7,773,980**
კაპიტალი	21			
სააქციო კაპიტალი		27,821	27,821	27,821
დამატებით შეტანილი კაპიტალი		141,154	216,030	297,300
სახაზინო აქციები		(9)	(9)	(3)
სხვა რეზერვები		10,212	252	(29,748)
გაუნაწილებელი მოგება		1,302,741	975,314	887,665
ბანკის აქციონერებს მიკუთვნებული მთლიანი კაპიტალი		**1,481,919**	**1,219,408**	**1,183,035**
კონტროლის არმქონეთა წილები		-	13,736	11,896
სულ კაპიტალი		**1,481,919**	**1,233,144**	**1,194,931**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**12,620,716**	**10,732,932**	**8,968,911**

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს სახელით:

კახა კიკნაველიძე — გენერალური დირექტორი

დავით წიკლაური — ფინანსური დირექტორი

27 April 2018

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 8-74 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	Notes	2017	2016	2015
საპროცენტო შემოსავალი				
კლიენტებზე გაცემული სესხები		965,614	806,641	783,514
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი		113,276	90,589	69,407
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების		17,031	7,933	9,588
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		9,464	2,879	2,834
		1,105,385	**908,042**	**865,343**
საპროცენტო ხარჯები				
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		(221,410)	(194,029)	(191,155)
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების		(195,594)	(137,248)	(101,205)
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული		(43,834)	(41,583)	(66,926)
		(460,838)	**(372,860)**	**(359,286)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**644,547**	**535,182**	**506,057**
შემოსავალი გასამჯელოდან და საკომისიოდან		191,000	168,386	157,529
გასამჯელოსა და საკომისიოს ხარჯი		(74,730)	(58,496)	(52,435)
წმინდა შემოსავალი გასამჯელოდან და	22	**116,270**	**109,890**	**105,094**
უძრავი ქონებიდან წმინდა შემოსავალი	23	5,679	8,631	11,831
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება		2,060	2,162	73
წმინდა მოგება (ზარალი) სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		1,478	(634)	-
წმინდა მოგება (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	12	7,336	(1,221)	6,388
წმინდა მოგება უცხოური ვალუტიდან				
– ვაჭრობიდან		66,502	65,461	64,561
– საკურსო სხვაობიდან		19,238	18,307	1,257
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		(1,056)	1,912	1,761
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**101,237**	**94,618**	**85,871**
შემოსავალი		**862,054**	**739,690**	**697,022**
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	24	(186,885)	(153,760)	(139,141)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(95,007)	(75,534)	(67,239)
ცვეთა და ამორტიზაცია		(38,414)	(34,883)	(31,520)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,063)	(3,425)	(2,855)
საოპერაციო ხარჯები		**(323,369)**	**(267,602)**	**(240,755)**
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო რისკის ხარჯემდე		**538,685**	**472,088**	**456,267**

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 8-74 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაბრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	Notes	2017	2016	2015
საოპერაციო მოგება საკრედიტო რიკის ხარჯამდე		**538,685**	**472,088**	**456,267**
გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	10	(156,558)	(155,366)	(142,814)
გაუფასურების ხარჯები ფინანსური იჯარიდან	11	(475)	(161)	(1,615)
გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებსა და მარაგებზე		(11,316)	(5,616)	(6,013)
საკრედიტო რისკის ღირებულება		**(168,349)**	**(161,143)**	**(150,442)**
წმინდა არასაოპერაციო ხარჯები არაგანმეორებად მუხლებამდე		**370,336**	**310,945**	**305,825**
წმინდა არაგანმეორებადი მუხლები	25	(3,589)	(49,169)	(10,659)
მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან საშემოსავლო გადასახადამდე (ხარჯამდე)		**366,747**	**261,776**	**295,166**
საშემოსავლო გადასახადის (ხარჯი)	15	(27,840)	27,318	(42,722)
წლის მოგებას გაგრძელებული ოპერაციებიდან		**338,907**	**289,094**	**252,444**
მოგებაშეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	-	8,278
წლის მოგება		**338,907**	**289,094**	**260,722**
სულ მოგება მიკუთვნებული:				
– ბანკის აქციონერებისთვის		338,761	287,945	257,628
– კონტროლის არმქონე წილისთვის		146	1,149	3,094
		338,907	**289,094**	**260,722**
მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან მიკუთვნებული				
– ბანკის აქციონერებს		338,761	287,945	249,997
– კონტროლის არქმონე წილებისთვის		146	1,149	2,447
		338,907	**289,094**	**252,444**
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიკუთვნებული				
ბანკის აქციონერებს		-	-	7,631
– კონტროლის არქმონე წილებისთვის		-	-	647
		-	**-**	**8,278**
საბაზისო და განზავებული მოგება ერთ აქციაზე	21	**12.1803**	**10.3511**	**7.9944**
– მოგება ერთ აქციაზე გაგრძელებული		12.1803	10.3511	7.7576
– მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან ერთ		-	-	0.2368

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016*	2015*
წლის მოგება		**338,907**	**289,094**	**260,722**
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი) გაგრძელებული				
მომავალში მოგება-ზარალში გადასარეკლასიფიცირებული				
–გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების		3,595	85,612	(30,863)
– გასაყიდად არსებულ ფასიან ქარალდებზე		(2,058)	(28,143)	(34)
– სავალუტო სხვაობებით გამოწვეული მოგება (ზარალი)		(3,259)	234	(14,749)
დაკავშირებული მოგების გადასახადი	15	(551)	(5,019)	1,551
მომვალში მოგება-ზარალში გადასარეკლასიფიცირებელი		**(2,273)**	**52,684**	**(44,095)**
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი გაგრძელებული				
– ძირითადი საშუალებების გადაფასება	13	3,483	-	-
საშემოსავლო გადასახდის ეფექტი	15	(781)	-	-
წმინდა სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი გაგრძელებული		**2,702**	**-**	**-**
სხვა სრული მოგება (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	-	(117)
წლის სხვა სრული შემოსვალი (ზარალი), გადასახადის		**429**	**52,684**	**(44,212)**
გაგრძელებული ოპერაციებიდან სულ წლის სრული		339,336	341,778	208,349
შეწყვეტილი ოპერაციებიდან სულ წლის სრული		-	-	8,161
სულ წლის სრული შემოსავალი		**339,336**	**341,778**	**216,510**
სულ სრული შემოსავალი მიკუთვნებული				
– ბანკის აქციონერებს		339,190	339,938	216,016
– კონტროლის არმქონეთა წილებისთვის		146	1,840	494
		339,336	**341,778**	**216,510**
სულ სრული შემოსავალი გაგრძელებული ოპერაციებიდან				
		339,190	339,938	208,438
– ბანკის აქციონერებს		146	1,840	(89)
– კონტროლის არმქონეთა წილებისთვის		**339,336**	**341,778**	**208,349**
სულ სრული შემოსავალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან				
– ბანკის აქციონერებს		-	-	7,578
– კონტროლის არმქონეთა წილებისთვის		-	-	583
		-	**-**	**8,161**

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	მიეკუთვნება ჯგუფის აქციონერებს							
	საკუთარი კაპიტალი	დამატებითი გადახდილი კაპიტალი	სახაზინო აქციები	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ	კონტროლის არქონეთა წილები	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2014	**36,513**	**611,238**	**(1,522)**	**31,211**	**728,839**	**1,406,279**	**54,808**	**1,461,087**
ცვლილება საბერიცხვო პოლიტიკაში (შენიშვნა 3)	-	-	-	(35,695)	(1,230)	(36,925)	(1,860)	(38,785)
1 იანვარი 2015 (ხელახლაფორმულირებული)	**36,513**	**611,238**	**(1,522)**	**(4,484)**	**727,609**	**1,369,354**	**52,948**	**1,422,302**
წლის მოგება	-	-	-	-	257,628	257,628	3,094	260,722
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	-	(34,012)	(7,600)	(41,612)	(2,600)	(44,212)
სულ სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**(34,012)**	**250,028**	**216,016**	**494**	**216,510**
წილობრივი გადახდების შედეგად ზრდა კაპიტალში	-	22,839	502	-	-	23,341	162	23,503
დივიდენდები ბანკის აქციონერებზე (შენიშვნა 21)	-	-	-	-	(64,988)	(64,988)	-	(64,988)
არსებულ შვილობილ კომპანიებში კონტროლის არმქონე წილების შეძენა	-	-	-	1,645	-	1,645	(3,261)	(1,616)
შვილობილ კომპანიებში წილების განზავება	-	-	-	-	-	-	27,947	27,947
შვილობილი კომპანიის შესყიდვით წარმოქმნილი კონტროლის არმქონე წილები	-	-	-	-	-	-	1,488	1,488
რეორგანიზაცია	(8,692)	(327,470)	1,160	7,103	(24,984)	(352,883)	(67,882)	(420,765)
სახაზინო აქციების შესყიდვა და შენატანები წილობრივი გადახდის გეგმის შესაბამისად	-	(9,307)	(143)	-	-	(9,450)	-	(9,450)
31 დეკემბერი 2015*	**27,821**	**297,300**	**(3)**	**(29,748)**	**887,665**	**1,183,035**	**11,896**	**1,194,931**
წლის მოგება	-	-	-	-	287,945	287,945	1,149	289,094
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	-	51,692	301	51,993	691	52,684
სულ სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**51,692**	**288,246**	**339,938**	**1,840**	**341,778**
წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე გადახდების შედეგად წარმოქმნილი ზრდა კაპიტალში	-	38,195	-	-	-	38,195	-	38,195
დივიდენდები ბანკის აქციონერებზე (შენიშვნა 21)	-	-	-	-	(200,597)	(200,597)	-	(200,597)
კონტროლის არმქონე წილების შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	-	-	-	(21,692)	-	(21,692)	-	(21,692)
შენატანები წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე გადახდის გეგმის შესაბამისად	-	(119,465)	(6)	-	-	(119,471)	-	(119,471)
31 დეკემბერი 2016*	**27,821**	**216,030**	**(9)**	**252**	**975,314**	**1,219,408**	**13,736**	**1,233,144**
ფასს 15-ის დროზე ადრე მიღების შედეგი (შენიშვნა 3)	-	-	-	-	(10,827)	(10,827)	-	(10,827)
1 იანვარი 2017	**27,821**	**216,030**	**(9)**	**252**	**964,487**	**1,208,581**	**13,736**	**1,222,317**
წლის მოგება	-	-	-	-	338,761	338,761	146	338,907
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	-	936	(507)	429	-	429
სულ სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**936**	**338,254**	**339,190**	**146**	**339,336**
წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე გადახდების შედეგად კაპიტალში ზრდა	-	50,394	-	-	-	50,394	-	50,394
არსებულ შვილობილ კომპანიებში კონტროლის არმქონე წილების შესყიდვა	-	-	-	13,882	-	13,882	(13,882)	-
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოს შესყიდვა (შენიშვნა 5)	-	-	-	(4,858)	-	(4,858)	-	(4,858)
შენატანები წილობრივი ინსტრუმენტებისს საფუძველზე გადახდის გეგმის შესაბამისად (შენიშვნა 26)	-	(125,270)	-	-	-	(125,270)	-	(125,270)
31 დეკემბერი 2017	**27,821**	**141,154**	**(9)**	**10,212**	**1,302,741**	**1,481,919**	**-**	**1,481,919**

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 8-74 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

* *გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2016 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს საბუღალტრო პოლიტიკაში ცვლილების მიზნით კორექტირებებს როგორც ეს აღწერილია შენიშვნაში 3.*

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	Notes	*2017*	*2016*	*2015*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტი		1,086,379	894,996	867,191
გადახდილი პროცენტი		(458,060)	(410,417)	(352,394)
მიღებული გასამჯელო და საკომისიო		186,007	163,926	152,416
გადახდილი გასამჯელო და საკომისიო		(74,730)	(58,501)	(52,535)
უძრავი ქონებიდან წმინდა ფულადი სახსრების სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოქმნილი		5,336	12,601	7,158
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან სუფთა რეალიზებული მოგება		-	1,177	39
წმინდა რეალიზებული მოგება უცხოური		-	2,091	34
ადრე ჩამოწერილი კლიენტებზე გაცემული	10	66,502	65,461	64,561
სხვა გადახდილიხარჯები		52,792	36,244	33,685
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა		(16,620)	(50,681)	(11,949)
გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული		(136,014)	(121,198)	(112,712)
		(81,666)	(73,887)	(64,563)
ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		**629,926**	**461,812**	**530,931**
წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების		(294,287)	(146,572)	(196,780)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(1,456,372)	(719,819)	249,879
მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(7,577)	2,291	3,228
წინასწარ გადახდები და სხვა აქტივები		(12,980)	46,354	11,692
წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების		(271,170)	1,641,229	98,738
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული		568,250	(831,549)	(113,121)
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		1,436,334	357,110	396,460
სხვა ვალდებულებები		(4,799)	11,545	(16,918)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		**587,325**	**822,401**	**964,109**
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,303)	(44,326)	(28,360)
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გაგრძელებული ოპერაციებიდან საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე		**578,022**	**778,075**	**935,749**
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან წარმოქმნილი საოპერაციო აქტივობებიდან		-	-	63,298
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		**578,022**	**778,075**	**999,047**
ფულადი სახსრების ნაკადები (გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან				
შვილობილი კომპანიების შეძენა მიღებული	5	(8,133)	-	22,620
წინა წლის შენაძენებიდან დარჩენილი თანხების გადახადა		-	(8,768)	-
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი		(321,379)	(317,297)	(157,139)
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	12	11,067	4,455	19,813
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან შემოსავლები	13	2,015	980	3,592
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური		(104,601)	(45,794)	(51,575)
გაგრძელებული ოპერაციებიდან საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული სუფთა ფულადი ნაკადები		**(421,031)**	**(366,424)**	**(162,689)**
სუფთა ფულადი ნაკადები გამოყენებული შეწყვეტილი ოპერაციებიდან საინვესტიციო საქმიანობაში		-	-	(104,815)
რეორგანიზაცია		-	-	(4,356)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული სუფთა ფულადი ნაკადები		**(421,031)**	**(366,424)**	**(271,860)**

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 8-74 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	Notes	*2017*	*2016*	*2015*
ფულადი ნაკადები (გამოყენებული) ფინანსური საქმიანობიდან				
გადახდილი დივიდენდები		(211)	(200,099)	(66,627)
წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე გადახდის გეგმის შესაბამისად შენატანები (შენიშვნა 26)		(125,270)	(119,471)	(9,450)
დამატებითი წილების შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში		(21,701)	-	-
გაგრძელებული ოპერაციებიდან ფინანსურ აქტივობებში გამოყენებული სუფთა თანხა		**(147,182)**	**(319,570)**	**(76,077)**
შეწყვეტილი ოპერაციებიდან ფინანსური საქმიანობებიდან (გამოყენებული) სუფთა თანხა		-	-	26,330
ფინანსურ საქმინობებში გამოყენებული სუფთა თანხა		**(147,182)**	**(319,570)**	**(49,747)**
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი		4,675	18,307	(10,519)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)		**14,484**	**110,388**	**666,921**
ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	7	**1,487,170**	**1,376,782**	**709,861**
ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის ბოლოს	7	**1,501,654**	**1,487,170**	**1,376,782**

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობები

სს „საქართველოს ბანკი“ („ბანკი“) დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს, სააქციო საზოგადოების სახით („სს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი მუშაობს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ”, საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად.

.

ბანკი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტს, ახორციელებს გადარიცხვებს როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლასმისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველო. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 286 სერვის ცენტრი საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2016 წლის 31 დეკემბერი: 278,31 2015 წლის 31 დეკემბერი: 266). ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160, გაგარინის ქუჩა 29ა.

BGEO Group PLC (“BGEO PLC”, ყოფილი სახელწოდება საქართველოს ბანკის ჰოლდინგური კომპანია - Bank of Georgia Holdings PLC) არის ინგლისსა და უელსში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია და წარმოადგენს ბანკის მთავარ მშობელ კომპანიას. BGEO PLC-ს აქციები დაშვებულია სავაჭროდ გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის სამმართველოს ოფიციალური ჩამონათვალის პრემიუმ სეგმენტში და დაშვებულია სავაჭროდ ლონდონის საფონდო ბირჟის PLC's რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების ძირითად ბაზარზე, 2012 წლის 28 თებერვლიდან ძალაში შესვლით.

სებ-ის მიზნების შესაბამისად, დაარეგულიროს ბანკები საქართველოში დამოუკიდებელ საფუძველზე და შესაბამისად შეზღუდოს ინვესტიციები არასაბანკო შვილობილ კომპანიებში ადგილობრივად დარეგულირებული საბანკო დაწესებულებებით, ბანკმა დაასრულა სამართლებრივი რესტრუქტურიზაცია 2015 წლის აგვისტოში (“რეორგანიზაცია’). შედეგად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა ახალი ჰოლდინგური კომპანია ბანკის მშობელი კომპანიის სახით, BGEO PLC – JSC BGEO Group (“JSC BGEO”) ჯგუფის მიერ. ბანკის ყოფილი არასაბანკო შვილობილი კომპანიები, რომლებიც წარმოადგენდნენ ბიზნესის ცალკეულ ძირითად მიმართულებებს (“შეწყვეტილი ოპერაციები”) პირდაპირ გადავიდა JSC BGEO-ს დაქვემდებარებაში, როგორც ბანკის დობილი კომპანიები რეორგანიზაციის პროცესში. ჯგუფმა აღნიშნული გარიგება JSC BGEO-თან განმარტა, როგორც სამართლიანი განაწილება.

ბანკი და დანარჩენი შვილობილი კომპანიები ქმნიან კომპანიათა ჯგუფს (“ჯგუფი”), რომელიც ძირითადად დაფუძნებულია საქართველოში და ბელორუსიაში. ჯგუფის უმთავრესი საქმიანობაა საბანკო მომსახურებების გაწევა კორპორაციული და ინდივიდუალური კლიენტებისათვის. ჯგუფის შემადგენელი კომპანიების სია მოცემულია მე-2 შენიშვნაში. ბანკი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ერთეული და მოიცავს ჯგუფის საქმიანობების უმეტესობას.
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით JSC BGEO, და 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით JSC BGEO არის ბანკის ძირითადი აქციონერი:

აქციონერი	*31 დეკემბერი 2017*	*31 დეკემბერი 2016*	*31 დეკემბერი 2015*
JSC BGEO Group	99.55%	99.55%	99.52%
სხვა	0.45%	0.45%	0.48%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

**** საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი აქციები.***

2. მომზადების საფუძველი

შესავალი
წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ”) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გაცემულია 2017 წლისთვის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს”) მიერ.
ბანკს და საქართველოში დაფუძნებულ მის შვილობილ კომპანიებს კანონმდებლობით მოეთხოვებათ, რომ დოკუმენტაცია აწარმოონ და ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ ლარში „ფასს“-ს შესაბამისად, მაშინ როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებული შვილობილი კომპანიები შესაბამისი ადგილობრივი ვალუტებით ფუნქციონირებენ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა:

- სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, საინვესტიციო ქონებისა და გადაფასებული ძირითადი საშუალებებისა.
- მატერიალურ-საწარმოო მარაგების და საკუთრებაში დაბრუნებული აქტივების შეფასება თვითღირებულების და წმინდა რეალიზებადი ღირებულების დაბალი ფასით.

(ათას ლარში)

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი"), თითო აქციის ღირებულების გარდა, და თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოქმედი საწარმო

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებულია მოქმედი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს და მეკავშირე საწარმოებს:

შვილობილი კომპანიები	ხმის უფლებებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის 31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015	დაფუძნების ქვეყანა	დარგი	რეგისტრაციის თარიღი	შეძენის თარიღი
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობას UK ლიმითედ	100.00%	100.00%	100.00%	გაერთიანებული სამეფო	ინფორმაციის გაცვლა და ბაზრის	17/8/2010	–
ფონდი სიცოცხლის ხე NPO	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	კვლევა საქველმოქმედო საქმიანობა	25/8/2008	–
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა უნგრეთი	100.00%	100.00%	100.00%	უნგრეთი	წარმომადგენლობა	18/6/2012	–
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა თურქეთი	100.00%	100.00%	100.00%	თურქეთი	წარმომადგენლობა	25/12/2013	–
შპს საქართველოს ფინანსური ინვესტიცია	100.00%	100.00%	100.00%	ისრაელი	ინფორმაციის გაცვლა და ბაზრის	9/2/2009	–
პროფესიული კალათბურთის კლუბი შპს დინამო თბილისი	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	კვლევა სპორტი	10/1/2011	–
შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	განათლება	15/10/2013	–
შპს კერძო დაცვა	-	-	100.00%	საქართველო	უსაფრთხოება	–	21/1/2015
Benderlock Investments Limited	100.00%	100.00%	100.00%	კვიპროსი	ინვესტიცია	12/5/2009	13/10/2009
სს ბელორუსიის სახალხო ბანკი	99.98%	79.99%	79.99%	ბელორუსი	საბანკო საქმიანობა	16/4/1992	3/6/2008
შპს BNB ლიზინგი	99.90%	99.90%	99.90%	ბელორუსი	ლიზინგი	30/3/2006	3/6/2008
შპს ლიზინგის კომპანია	100.00%	-	-	საქართველო	ლიზინგი	29/10/2001	31/12/2004
პრაიმ ლიზინგი	100.00%	-	-	საქართველო	ლიზინგი	27/1/2012	21/1/2015

მეკავშირე კომპანიები	ხმის უფლებებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის 31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015	დაფუძნების ქვეყანა	დარგი	რეგისტრაციის თარიღი	შეძენის თარიღი
სს კრედიტ ინფო	21.08%	19.11%	16.63%	ეორგია	ფინანსური შუამავლობა	14/2/2005	14/2/2005

(a) 2017 წელს ბანკმა შეიძინა საქართველოს ლიზინგის კომპანია ("GLC")

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა

გაერთიანების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის და მისი შვილობილი კონპანიების ფინანსური ანგარიშგებების 2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით. კონსოლიდაცია შვილობილებთან მოხდება კონტროლის არსებობის დროს. კონტროლი ხორციელდება, როცა ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტში ჩართულობის შედეგად ცვლადი უკუგების უფლება და აქვს უნარი გავლენა მოახდინოს ამ უკუგებებზე საინვესტიციო ობიექტზე მისი უფლების გამოყენებით. განსაკუთრებით ჯგუფი აკონტროლებს საინვესტიციო ობიექტს მხოლოდ მაშინ, თუ ჯგუფს აქვს:

- საინვესტიციო ობიექტზე უფლება (ე.ი. არსებული უფლებები, რომელიც აძლევს მას შესაძლებლობას მართოს საინვესტიციო ობიექტის შესაბამისი საქმიანობა).
- უფლებები საინვესტიციო ობიექტში მისი ჩართულობის შედეგად ცვლად უკუგებებზე, და
- შესაძლებლობას გამოიყენოს საინვესტიციო ობიექტზე მისი უფლება, რომელიც გავლენას ახდენს მის უკუგებებზე.

როცა ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შეფასებისას, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- საკონტრაქტო შეთანხმება საინვესტიცი ობიექტის ხმის უფლების მქონე მფლობელებთან;
- სხვა საკონტრაქტო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლება და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ის საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს კონტროლის ერთი ან მეტი, სამი ელემენტის ცვლილებება. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როცა ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და შეწყვეტს ამ კონტროლს როცა ჯგუფი დაკარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს. წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები შეტანილია ყოვლისმომცველი შემოსავლის ანგარიშში ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან, ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის თითოეული კომპონენტი უკავშირდება ჯგუფის მთავარი კომპანიის კაპიტალის მფლობელებს და არაკონტროლირებად წილების, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს დეფიციტური ბალანსის მქონე არაკონტროლირებადი წილების წარმოქმნას. როცა აუცილებელია, შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშებში ხორციელდება კორექტირებები, რათა მათი საარიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საარიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, წილი, შემოსავალი, დანახარჯი და ფულადი ნაკადები, რომლებიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციებს სრულად გაუქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიაში წილის მფლობელობაში ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, ჩაითვლება როგორც საქციონერო კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი კარგავს შვილობილ კომპანიაზე კონტროლს, ის:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებსა (მათ შორის გუდვილი) და ვალდებულებებს ბალანსიდან;
- ჩამოწერს ბალანსიდან ნებისმიერი არაკონტორილებადი წილების საბალანსო ღირებულებას
- ჩამოწერს ბალანსიდან კაპიტალში რეგისტრირებულ კუმულაციური სავალუტო ოპერაციებიდან სხვაობას
- აღიარებს მიღებული უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას
- აღიარებს შენარჩუნებული ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას
- აღიარებს მოგებასა ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს ან დეფიციტს
- ახორციელებს მთავარი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას, რომლებიც ადრე აღიარებული იყო მოგების ან ზარალის ყოვლისმომცველ შემოსავალში ან გაუნაწილებელ მოგებებში, რომელიც საჭირო იქნება, თუ ჯგუფმა უშუალოდ გაყიდა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები

საწარმოთა გაერთიანებები და გუდვილი

საწარმოების გაერთიანებისას გამოიყენება შეძენის მეთოდი. შეძენის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. თითოეული გაერთინების შემთხვევაში ჯგუფი აფასებს შეძენილ საწარმოში არასაკონტროლო წილს სამართლიანი ღირებულების ან შეძენილ საწარმოს წმიდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით და არასაკონტროლო წილის სხვა კომპონენტებს მათი შეძენის დღეს სამართლიანი ღირებულებებით. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

როცა ჯგუფი შეიძენს საწარმოს, ის აფასებს ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ნავარაუდევია შეძენის თარიღისთვის სავარაუდო კლასიფიკაციისთვის საკონტრაქტო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და პოტენციური პირობების შესაბამისად. ამაში შედის შეძენილი საწარმოს მიერ კონტრაქტებში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევება.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანებები და გუდვილი (გაგრძელება)

თუ საწარმოების გაერთიანება ხორციელდება ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე ფლობილი წილების სამართლიანი ღირებულება შეძენის დღეს ხელახლა გადაფასდება შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით. შემდეგ ეს გათვალისწინებულია გუდვილის განსაზღვრებაში.

შემძენის მიერ გადასაცემი ნებისმიერი პირობითი გადახდა აღიარებულია შეძენის თარიღისთვის სამართლიანი ღირებულებით. პირობითი გადახდა კლასიფიცირებულია აქტივად ან ვალდებულებად, რომელიც არის ფინანსური ინსტრუმენტი და შედის ბასს 39-ის ფარგლებში – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით ცვლილებებით მოგებაში ან ზარალში ან როგორც სხვა მთლიანი შემოსავლის ცვლილება. თუპირობითი კომპენსაცია არ შედის ბასს 39-ის სფეროში, ის იზომება სათანადო ფასს-ის შესაბამისად.თუ დროებითი გადახდა კლასიფიცირებული იქნება როგორც კაპიტალი, მისი გადაფასება არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ არ მოხდება მისი დაფარვა კაპიტალის ფარგლებში.

გუდვილი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც აღემატება არასაკონტროლო წილებთან დაკავშირებით აღიარებული თანხის და გადარიცხული თანხის ჯამს და ნებისმიერ მანამდე ფლობილ წილთან, ჯგუფის წმინდა შეძენილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება აღემატება აღნიშნულ გადარიცხულ თანხას, ჯგუფი განმეორებით შეაფასებს სწორად მოახდინა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და აღებული ვალდებულებების იდენტიფიკაცია და განიხილავს გამოყენებულ პროცედურებს შეძენის დღეს ასაღიარებელი თანხების შეფასებისთვის. თუ განმეორებით შეფასებისას შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება კვლავ აღემატება გადარიცხულ თანხებს, მაშინ მოგება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი შეძენის თარიღისთვის გადაეცემა ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულს, რომლებიც ვარაუდის მიხედვით სარგებელს ნახავენ ამ გაერთიანებით, მიუხედავად იმისა შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიეკუთვნება თუ არა ამ ერთეულებს.

თუ გუდვილი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის და ოპერაციის ნაწილს, რომელიც ხორციელდება ამ ერთეულში, შეწყდება, მასთან დაკავშირებული გუდვილი აისახება ამ ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. ასეთ გარემოებებში გუდვილი შეფასდება ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შესადარი ღირებულებების საფუძველზე.

ბიზნეს გაერთიანება საერთო კონტროლის ქვეშ

საერთო კონტროლის ქვეშ ბიზნეს გაერთიანება გათვლილია საერთო კონტროლის ქვეშ კომბინაციამდე პერიოდების ხელახლაფორმულირების გარეშე საერთო წილობრივი ფონდის შექმნის მეთოდის გამოყენებაზე, რათა მოხდეს გაერთიანების ასახვა იმგვარად თითქოსდა ის წარმოიქმნა ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ყველაზე ადრე პერიოდის დაწყებიდან, გაერთიანების ფაქტობრივი თარიღის მიუხედავად.

როცა ჯგუფი იძენს საერთო კონტროლის ქვეშ ბიზნესს, გაერთიანებული საწრმოების აქტივებისა და ვალდებულებები ასახულია მათი საბალანსო ღირებულებით. გაერთიანების შედეგად გუდვილი არ არის აღიარებული. გადახდილ/გადაცემულ და შეძენილ კაპიტალს შორის რაიმე განსხვავება ასახულია კაპიტალში. მოგება-ზარალის ანგარიშგება ასახავს საწარმოების გაერთიანების შედეგს.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს ერთპიროვნულად ან ერთობლივად. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და აღიარებულია თავდაპირველი ღირებულებით გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს შესყიდვის შემდგომ ცვლილებებს მეკავშირე კომპანიაში ჯგუფის წმინდა აქტივების ნაწილში. მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის ნაწილის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხოლო რეზერვების დინამიკის ნაწილის აღიარება ხდება კაპიტალში. თუმცა, თუ მეკავშირე საწარმოში ჯგუფის ზარალის წილი ტოლია ან მეტია ჯგუფის სარგებელზე, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ვალდებულია განახორციელოს შემდგომი გადახდები მეკავშირე საწარმოში თუ მისი სახელით.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული მოგება იქვითება იმ ოდენობით, რა წილსაც ფლობს ჯგუფი ამ მეკავშირე საწარმოში. არარეალიზებული ზარალი ასევე იქვითება მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად, თუ არ არსებობს გადაცემულიაქტივის გაუფასურების საფუძველი. როცა გასაყიდად არსებული ინვესტიცია გახდება მოკავშირე საწარმო, ეს ინვეტიცია ხელახლა შეფასდება სამართლიანი ღირებულებით და სხვა მთლიან შემოსავალში აღიარებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებასა ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

თითოეული ბალანსის შედგენის დღეს ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, წარმოებულებები და არაფინანსური აქტივები, როგორიცაა საინვესტიციო ქონება. ასევე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით წარმოდგენილია შენიშვნაში 28.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ოპერაციის დროს შეფასების დღეს. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება დაშვებებს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება.

- აქტივებისა ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- მთავარი ბაზრის არარსებობისას, აქტივისა ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯგუფისთვის. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულებების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო საკმარისი მონაცემები, შესაბამისი დაკვირვებას დაქვემდებარებული მონაცემების მაქსიმუმამდე გაზრდით და არადაკვირვებადი მონაცემების მინიმუმამდე შემცირებით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება ფასდება ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშებში, ფასდება სამართლიანი ღირებულების ქვემოთ წარმოდგენილი იერარქიის ფარგლებში, ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების მთლიანობაში შესაფასებლად.

- დონე 1 - კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალებულებებისთვის;
- დონე 2 - მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია ყველა იმ ინფორმაციაზე დაკვირვება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგისტრირებულ სამართლიან ღირებულებაზე;
- დონე 3 – შეფასების მეთოდი, რომლის ყველაზე ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ არის წარმოდგენილი.

ფინანსურ ანგარიშებში აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც აღიარებულია განმეორების საფუძველზე, ჯგუფი განსაზღვრავს მოხდა თუ არა გადარიცხვები თვითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იერარქიაში დონეებს შორის კატეგორიზაციის გადაფასებით (ყველაზე დაბალი დონის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად).

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

(ათას ლარში)

ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ჯგუფი გადაწყვეტს მისი ფინანსური აქციების კლასიფიკაციას მისი თავდაპირველი აღიარების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების თარიღი

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება სავაჭრო ფასიან ქაღალდებად, არ განისაზღვრება, როგორც გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გათვლა მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და ყველა სხვა პრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. ამორტიზებული ღირებულებით წარმოდგენილი ინვესტიციებისათვის მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როცა ინვესტიციები გაუფასურებულია ან ამორტიზაციას განიცდის. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად და არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით სხვა სრულ შემოსავალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, ჯგუფი აფორმებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსური ინსტრუმენტებს, მათ შორის ფორვარდებს, სვოპებს და ოფციონებს უცხოური ვალუტის და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების პოლიტიკის შესაბამისად და შემდეგ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებები შეფასებულია მოცემული ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო და საკონტრაქტო ფასის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. წარმოებული ინსტრუმენტები აღრიცხულია აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად – როდესაც უარყოფითია. აღნიშნული ინსტრუმენტების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი შეტანილია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც მოგება, მინუს ზარალი საკურსო სხვაობებიდან.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

როცა ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებულია თავდაპირველად, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირდება, იმ შემთვევაში თუ ინსტრუმენტები არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგება/ზარალის გავლით, პირდაპირ გამოყენებულ საკომისიოებსა და ხარჯების მიკუთვნებით.

თავდაპირველი აღიარებით ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ჩვეულებრივ არის ტრანზაქციის ფასი. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება აღნიშნული ტრანზაქციის ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებების კოტირებული ფასით (ე.ი 1 დონის მონაცემები) ან შეფასების მეთოდის

საფუძველზე, რომელიც იყენებს მხოლოდ დაკვირვების ქვეშ არსებული ბაზრებიდან მონაცემებს, ჯგუფი აღიარებს თავდაპირველი აღირებისას სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის სხვაობას როგორც მოგება ან ზარალი;

- ყველა სხვა შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი შეფასება კორექტირდება, რათა გაგრძელდეს თავდაპირველი აღირებისას სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის სხვაობა. თავდაპიველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი აღიარებს გაგრძელებულ სხვაობას, როგორც მოგება ან ზარალი, მხოლოდ როცა მონაცემები გახდება შესამჩნევი, ან როცა მოხდება ინსტრუმენტის ჩამოწერა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას (გაგრძელება)

გაქვითვა
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულანგარიშგებაში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

ფული და ფულის ეკვივალენტები
ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ცენტრალური ბანკებისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისგან, რომელთაც გააჩნიათ გამოშვებიდან ოთხმოცდაათი დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისგან.

ნასესხები სახსრები
გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშვება ვალდებულება წარუდგინოს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივი მფლობელს ან დააკმაყოფილოს ვალდებულება მხოლოდ არა ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივის ფიქსირებული თანხის გაცვლით საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობასთან დაკავშირებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებებისა და მეანაბრეების წინაშე, მათ შორის გამოშვებულ მარტივ თამასუქებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

თუ ჯგუფი შეიძენს საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ უზრუნველყოფას შორის აღიარებული იქნება მოგებ-ზარალის კონსოლიდირებულ ანგრიშგებაში.

სუბორდინირებული ვალი
სუბორდინირებული ვალი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსურ ბაზარებზე ან ადგილობრივ ბაზრებზე ბანკის მიერ მოზიდულ გრძელვადიან სახსრებს. სუბორდინირებული ვალის მფლობელები ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში დაბრუნებული ვალის მისაღებად ექვემდებარებიან ყველა სხვა კრედიტორს. სუბორდინირებული ვალი წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

იჯარა

i. ფინანსური – ჯგუფი, როგორც მეიჯარე
ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებს იჯარიდან მისაღებ თანხებს ფასით, რომელიც ტოლია წმინდა ინვესტიციებისა ფინანსურ იჯარაში, იჯარის ვადის ათვლის თარიღიდან. წმინდა ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში გამოინგარიშება მინიმალური საიჯარო გადასახადის მიმდინარე მოცულობით, რომლისდაანგარიშებისას იჯარის საპროცენტო განაკვეთში გათვალისწინებულია დისკონტირების ფაქტორი. საწყისი პირდაპირი ხარჯები გათვალისწინებულია იჯარიდან მისაღებ თანხებში. მიღებული საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ შემოსავალსა და საიჯარო მოთხოვნების კლებას შორის. ფინანსური შემოსავალი ეფუძნება პრინციპს, რომელიც ასახავს მუდმივი პერიოდულობის მქონე უკუგების განაკვეთს წმინდა ინვესტიციიდან..

ii. საოპერაციო – ჯგუფი, როგორც მოიჯარე
აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიცა და ანაზღაურებაც არის მოიჯარის ხელში, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში

(ათას ლარში)

iii. საოპერაციო - ჯგუფი როგორც მეიჯარე

ჯგუფი ასახავს საოპერაციო იჯარით გაცემულ აქტივებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივის ბუნების შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აისახება მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდში, როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის შეთავაზებული სტიმულირების ხარჯები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება იჯარის პერიოდში წრფივი მეთოდით. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც გაწეულია კონკრეტულად საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის მისაღებად, ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას.

ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი "ზარალის ფაქტი") და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია და მონაცემები მიუთითებს სამომავლო ფულადი ნაკადების კლებას ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ხარჯის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ხარჯის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (კრედიტებზე მოსალოდნელი სამომავლო დანაკარგების გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულია ან გადაცემულია ჯგუფისთვის. თუ მომდევნო წელს გაუფასურების ხარჯი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ხარჯი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, იგი კრედიტდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შესაბამის გაუფასურების ხაზზე უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების ამობრუნება.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ხარჯის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს,

როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებულიფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა უმუშევრობის დონე, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების (რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით) გადახედვა ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების ჩამოწერა
ყველა საცალო სესხი, გარდა იპოთეკური სესხებისა, ჩამოიწერება თუ მათი ვადაგადაცილება ხდება 150 დღეზე მეტი ხნით. საცალო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება თუ ისინი ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი ხნით. კორპორატიული სესხების 150 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელობა და შეფასება ხდება თვითოეული შემთხვევის მიხედვით, სესხის/მსესხებელის არსებული და მოსალოდნელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციებისთვის, ჯგუფი ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ინვესტიცია ან ინვესტიციების ჯგუფი გაუფასურებულია.

იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიცია კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად არსებული, ობიექტურ მტკიცებულებაში უნდა შედიოდეს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მის თვითღირებულებაზე მნიშვნელოვანი ან გახანგრძლივებული კლება. თუკი არის გაუფასურების მტკიცებულება, კუმულაციური დანაკარგი –რომელიც გაზომილია როგორც სხვაობა შეძენის ღირებულებასა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ამ ინვესტიციის დანაკარგი, რომელიც ადრე აღიარებული იყო კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში – კლასიფიცირებულია სხვა სრულ შემოსავლს ნაცვლად როგორც სრული შემოსავლის ანგარიშგება, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი კაპიტალის ინვესტიციებზე არ არის აღდგენადი კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების საშუალებით; გაუფასურების შემდეგ სამართლიანი ღირებულების ზრდა აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში

იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებული იქნება, როგორც გასაყიდად არსებული, გაუფასურება, შეფასება ეფუძნება იმავე კრიტერიუმს, რასაც ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. თუმცა გაუფასურებულად აღრიცხული თანხა არის კუმულაციური დანაკარგი, რომელიც იზომება როგორც სხვაობა ამორტიზებულ ღირებულებასა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული ნებისმიერი ამ ინვეტიციაზე ღირებულების შემცირებით გამოწვეული ზარალი, რომელიც ადრე აღიარებული იყო მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. მომავალი პროცენტიდან შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და დაგროვილია გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების ფასდაკლებაში გამოყენებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. პროცენტიდან შემოსავალი აღრიცხულია კონსილიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუ მომდევნო წელს სავალო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ეს ზრდა ობიექტურად შეიძლება უკავშიდებოდეს მოვლენას, რომელიც წარმოიქმნა მას შემდეგ რაც გაუფასურების ზარალი აღიარებული იყოს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღდგება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგების საშუალებით.

სესხებიგადახედვის პირობებით

ხელახლა გადახედული სესხი არის სესხი, რომლის პირობები შეიცვალა ან რომლისთვისაცმოთხოვნილი იყო დამატებითი უზრუნველყოფა, და რომელიც არ იყო მითითებული თავდაპირველ კონტრაქტში კლიენტი ფინანსური სირთულეების საპასუხოდ.

სესხის საკონტრაქტო პირობები შეიძლება შეიცვალოს რამდენიმე მიზეზით, მათ შორის შეიცვალოს ბაზრის პირობები, კლიენტთან ურთიერთობა და სხვა ფაქტორები, რომელიც არ უკავშირდება კლიენტის არსებულ ან პოტენციურ კრედიტუნარიანობის გაუარესებას. როცა სესხის გადახდის საკონტრაქტო გადახდის პირობები შეიცლება იმის გამო, რომ ჩვენ დაიმტესებული ვართ მსესხებელის უნარით განახორციელოს საკონტრაქტო გადახდები, როცა მათი გადახდის დრო დადგება, ეს სესხები კლასიფიცირებულია როგორც „გადახედული სესხები". ფინანსური სირთულეების ინდიკატორები მოიცავს შეთანხმების შეუსრულებლობას, მნიშვნელოვან 30 დღიან ამ მეტხნიან დავალიანებას სამთვიან პერიოდში, ან პრობლემებს რომელიც წრამოიქმნა საკრედიტო რისკის დეპარტამენტის მიერ. რესტრუქტურიზაციის შედეგად განსაზღვრული პირობების ტიპიური მთავარი მახასიათებლები დეფოლტის თავიდან ასაცილებლად, მოიცავს სპეციალურ საპროცენტო განაკვეთებს, პროცენტის ან ამორტიზაციის გადახდების გადადებას, გადახდების განრიგის მოდიფიკაციას ან სესხის დაბრუნების ვადის ცვლილებას. მას შემდეგ

რაც პირობები გადაიხედება, ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი EIR –ის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშდება პირობების ცვლილებამდე.

საკრედიტო დანაკარგის შეფასების მიზნით კოლექტიური სესხის დანაკარგის შეფასების ფარგლებში, ეს სესხები არ არის გამოყოფილი სხვა სესხებისგან, რომლებიც არ ყოფილა გადახედული. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს ყველა სესხს საიმისოდ, რომ სესხის ხელშეკრულების შესაბამისად არსებული ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდეს და რომ მომავალი გადახდები სავარუდოდ განხორციელდება. სესხები ექვემდებარება ინდივიდუალურ გაუფასურების შეფასებას, რომლის პირობებიც გადახედულია, ექვემდებარება მიმდინარე შემოწმებას, რათა დადგინდეს კვლავაც არის თუ არა ისინი გაუფასურებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

მას შემდეგ რაც სესხი საცალო საბუღალტრო წიგნებში განსაზღვრულია როგორც გადახედული, ის რჩება ამ კატეგორიის ფარგლებში გადახდის ვადის დადგომამდე ან ბალანსიდან ჩამოწერამდე სანამ მეანაბრე არ შეძლებს გამოასწოროს დარღვევა ერთდროულად 6 რეგულარული გადახდის განხორციელებით. კორპორატიული სესხები ინარჩუნებენ გადახედული სესხის სტატუს სანამ გადახდის ვადა არ დადგება ან ჩამოწერამდე, სანამ მსესხებელი არ გამოასწორებს კრედიტის მდგომარეობას სესხის გადახდის დარჩენილ ვადაში. ნებისმიერი ახალი სესხი, რომელიც წარმოიქმნება ჩამოწერის შემდეგ ისევ იქნება გადახედული სესხი და შეფასდება გაუფასურებასთან დაკავშირებით ზემოთ მითითებული შესაბამისად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ფინანსური აქტივები

აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივისგან ფულადი სახსრების მიღების უფლება;
- ჯგუფმა გადასცა აქტივისგან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- და ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის და აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შეძენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებით ნაკისრი მოვალეობები შესრულდება, ბათილდება ან ამოიწურება.
როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის ამავე კრედიტორის მიმართ სხვა ვალდებულება, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში..

(ათას ლარში)

ფინანსური გარანტიები
ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს აკრედიტივებისა და გარანტიების სახით. ფინანსური გარანტიები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით, „სხვა ვალდებულებებში“, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ჯგუფის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მატერიალურ-საწარმოო მარაგები

ყოველი მატება ვალებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანანსურ გარანტიებთან აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ხანგრძლივობის შესაბამისად

მატერიალურ-საწარმოო მარაგები შეფასებულია თვითღირებულების და წმინდა რეალიზებადი ღირებულების დაბალ ფასად.
თითოეული პროდუქტის მოცემულ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწული ხარჯები გამოითვლება შემდეგნაირად:

- ნედლი მასალა: FIFO-ს მეთოდის შესყიდვის ხარჯი.
- მზა საქონელი და მიმდინარე სამუშაო: ძირითადი მასალების და სამუშაოს ხარჯი და საწარმოო ზედნადები ხარჯების პროპორცია ჩვეულებრივი სამუშაო მწარმოებლურობის საფუძველზე, მაგრამ სასესხო ხარჯების გამოკლებით.

წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის გასაყიდი ფასი საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, მინუს დასრულების შეფასებული ხარჯები და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო შეფასებული ხარჯები.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის დაანგარიშება ხდება იმ ქვეყნის რეგულაციების შესაბამისად, სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ.
გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მოკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოსა და ბელარუსში ასევე მოქმედებს მთელი რიგი გადასახადები, რომლებიც ჯგუფის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში კომპონენტის სახით.

საინვესტიციო ქონება

(ათას ლარში)

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა, ან საიჯარო შემოსავალის მისაღებად არსებული შენობის ნაწილი ან კაპიტალის შესაფასებასთან დაკავშირებული ქონება, რომელიც არ გამოიყენება ჯგუფის მიერ ან საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გასაყიდად არსებულ მფლობელობაშია. ქონება, რომელიც აშენებულია ან აშენდება მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად ასევე კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, და შემდეგში ხელახლა ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ასახავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბაზრო პირობებს. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროების საფუძველზე, მათ შორის იმ დამოუკიდებელ შემფასებელთა ანგარიშების საფუძველზე, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და რომლებსაც აქვთ მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)
საინვესტიციო ქონება, რომელიც გადაკეთდა მუდმივი გამოყენებისთვის როგორც საინვესტიციო ქონება ან რომლისთვისაც ბაზარი ნაკლებად აქტიური რჩება საიმისოდ რომ შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიცხულია მოგება-ზარალის ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებებიდან მიღებული მოგება და ზარალი რეგისტრირებულია მოგება-ზარალის შემოსავალში და წარმოდგენილია როგორც საინვესტოციო ქონებიდან გადაფასების სუფთა მოგება ან ზარალი.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაედინება ჯგუფში და ხარჯი შეფასდება საიმედოდ. ყველა სხვა რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯი იფარება მათი წარმოქმნისთანავე. თუ საინვესტიო საკუთრება არ ქირავდება, ის რეკლასიფიცირდება ძირითად საშუალებებში და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის იქცევა მის პირობით ღირებულებად, რომელიც შემდგომში შემცირდება.

ძირითადი საშუალებები
ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით გარდამიწისა,საოფისე შენობების და მომსახურების ცენტრების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების განაკვეთი გადაფასების თარიღის შემდგომ.
ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის, გამოკლებული შემდგომში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი. შეფასებები ხორციელდება ერთხელ ყოველ სამ წელიწადში, თუ არ არის მნიშვნელოვანი ცვლილება სამართლიან ღირებულებაში ბაზარზე.

აკუმულირებული ცვეთა გადაფასების თარიღისთვის გაიქვითება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებასთან და წმინდა თანხის დაგაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული აქტივის გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შებრუნება. ამ შემთხვევაში, მატება აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. დამატებით, გადაფასების თარიღისათვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის ჯამურ საბალანსო ღირებულებასთან და ხდება მისი წმინდა თანხით ხელახლა ასახვა. გაყიდვისას, ცალკეულ აქტივთან დაკავშირებულიმთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
საოფისე შენობები და მომსახურების ცენტრები	100-მდე
ავეჯი და მოძრავი ქონება	10
კომპიუტერები და მოწყობილობა	5-10
ავტომობილები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.
მშენებარე აქტივები მითითებულია თვითღირებულებით და არ გაუფასურდება იმ დრომდე, სანამ ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის და რეკლასიფიცირებულია ძირითადი საშუალების შესაბამის ჯგუფში.
საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად ან მოსალოდნელი საიჯარო ვადის მიხედვით, თუ უფრო მოკლევადიანია.

(ათას ლარში)

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურება

გაუფასურებასთან მიმართებაში გუდვილის გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ მოვლენები და გარემოებების ცვლილებები მიუთითებენ მიმდინარე თანხების გაუფასურებაზე.

გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი, შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანების პროცესით, იმისდა მიუხედავად განეკუთვნება თუ არა ჯგუფის სხვა აქტივები და ვალდებულებები აღნიშნულ ერთეულებს თუ ერთეულთა ჯგუფებს. ამგვარი ერთეულები, რომელთაც ერიცხებათ გუდვილი წარმოადგენენ:

- ჯგუფის ქვედა დონეს, სადაც გუდვილის მონიტორინგი ხდება მენეჯმენტის შიდა მიზნებისათვის; და
- არ აღემატება სეგმენტს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 8-ში „საოპერაციო სეგმენტები"

გუდვილის გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) აღდგენითი ღირებულების შეფასებით, რომელსაც განეკუთვნება გუდვილი. როცა ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულებასაბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, ხდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ამობრუნება მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

არამატერიალური აქტივები
ჯგუფის სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას წარმოშობილი არამატერიალური აქტივის მოცულობა წარმოადგენს შესყიდვის დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის - 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ღირებულება (დაკავშირებული ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული უზრუნველყოფის დიზაინსა და ტესტირებასთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივები მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის უნარი და განზრახვა, რომ შესაძლებელი იყოს აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა, რომ აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა, რომ ხელმისაწვდომია ამ პროცესის დასრულებისთვის საჭირო რესურსები, და რომ შესაძლებელია პროგრამის შექმნის ხარჯების სარწმუნოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული სხვა სახის დანახარჯების აღრიცხვა ხდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

რეზერვები
რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ მოსალოდნელი იურიდიული ვალდებულება და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

ბალანსგარეშე ვალდებულებებზე წარმოქმნილი დანაკარგების რისკის რეზერვები ფასდება რეგულარულად ამ ვალდებულებებზე წარსურში წარმოქმნილი ფაქტობრივი დანაკარგების საფუძველზე.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე
ჯგუფს უზრუნველყოფს ხელმძღვანელობისა და თანამშრომლებისთვის საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას. ბანკის განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო პროგრამა მოიცავს ყველა სრულ განაკვეთზე მყოფ თანამშრომლებს. ჯგუფი იღებს შენატანებს მის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების ხელფასის 2%-ის ოდენობით, რომლის 1% იქვითება ხელფასებიდა და მეორე 1%-დამატებით გადაიხდება ჯგუფის მიერ. როდესაც თანამშრომელი მიაღწევს საპენსიო ასაკს, ხდება დაგროვილი შენატანების თანამშრომლისთვის გადახდა მასთანვე შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. დაგროვილი შენატანები გადანაწილებულია თანამშრომლის მიერ დაგროვილი თანხის მიღების პერიოდზე. შესაბამისი საპენსიო სარგებლის ვალდებულებები აღიცხულია სხვა ვალდებულებებში, შენიშვნა 16.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებები

ჯგუფის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელების ჩათვლით) იღებენ ანაზღაურებას აქციებზე დაფუძნებული გარიგებებიდან, როდესაც თანამშრომლები ეწევიან მომსახურებას წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ (წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები).

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებების ფასი აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი მიღება.

წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების ფასი აღრიცხულია შესაბამისი კაპიტალის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა/ვალდებულებების შესრულება. ეს პერიოდი სრულება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამშრომელი მთლიანად უფლებამოსილია მიიღოს პრემია ("ძალაში შესვლის თარიღი"). ძალაში შესვლის თარიღისათვის, ყოველ საბალანსო წელს აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების მთლიანი ხარჯი დამოკიდებულია ძალაში ყოფნის მთლიანი პერიოდის გასვლასა და წილობრივი ინსტუმენტების რაოდენობის შეფასებაზე. მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ხარჯი თუ შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი ხარჯის ცვლილებას პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე.

ძალაში შესვლამდე არ ხდება პრემიის ხარჯის აღიარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებამოსილების მინიჭება დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე (BGEO-საქციების ფასთან მიბმული პირობა), გათვალისწინებით იმისა, რომ ყველა დანარჩენი პირობა შესრულებულია. ეს შემთხვევა მიიჩნევა უფლებამოსილების მინიჭებად, მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საბაზრო პირობები.

როდესაც წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული პრემიების პირობები იცვლება, მინიმალური ხარჯის აღიარება ხდება იმ სახით, თითქოს არ მომხდარიყოს პირობების ცვლილება. გარდა ამისა, ხარჯის აღიარება ხდება ნებისმიერი კორექტირებისათვის, რომელიც ზრდის აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებების მთლიან სამართლიან ღირებულებას ან სხვაგვარად წარმოადგენს თანამშრომლის სარგებელს მოდიფიკაციის თარიღით.

როდესაც ხდება წილობრივ ინსტრუმენტებით გაცემული პრემიის გაუქმება, ის ძალაში შესულად მიიჩნევა გაუქმების თარიღით, ხოლო ნებისმიერი პრემიის ხარჯის იმ ნაწილის აღიარება, რომლის აღიარებაც ჯერ არ მომხდარა ხდება მყისიერად. თუმცა, თუ გაუქმებულ პრემიას ჩაენაცვლება ახალი, რომელიც გადაცემის თარიღისათვის აღწერილია, როგორც ჩანაცვლების პრემია, ძველი და ახალი პრემიები მოიაზრება თავდაპირველი პრემიის კორექტირებებად, როგორც აღწერილია წინა აბზაცში

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

სახაზინო აქციები:

როდესაც ჯგუფი ან მისი შვილობილი კომპანია შეიძენს ბანკის წილს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ წმინდა საოპერაციო თანხებთან ერთად გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, ხდება მიღებული საფასურის ჩართვა კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით. დამატებით შეტანილ კაპიტალთან მიმართებაში პრემიების კორექტირებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება:

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა/შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიოდან მომხმარებელთათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან, რაც შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

კლიენტების ლოიალობის პროგრამა

კლიენტების ლოიალობის პროგრამის ქულები, რომლებიც აკუმულირებულია ამ ბიზნესში განიხილება როგორც გადავადებული შემოსავალი და აღიარებულია შემოსავლებში თანდათან, როცა ხდება მათი მიღება. ჯგუფი აღაირებს კლიენტის ლოიალობის პროგრამიდან მიღებულ მთლიან შემოსავალს, როცა განხორციელების ვალდებულება შესრულდება ე.ი. როცა კლიენტი გამოისყიდის ქულებს ან ქულები ამოიწურება, როცა ჯგუფი მოქმედებს როგორც ხელმძღვანელი. და პირიქით, ჯგუფი ზომავს სხვაობას თავის შემოსავალს, როგორც მის ანგარიშზე არსებულ თანხას, რომელიც წარმოადგენს მასტიმულირებელ დანარიცხებს და მესამე მხარისთვის კრედიტორული დავალიანებებისთვის გამოყოფილ თანხას შორის, რომელიც უზრუნველყოფს სტიმულირებას რაც შეიძლება მალე როგორც კი მოხება მასტიმულირებელი დარიცხვები, როცა ჯგუფი მოქმედებს როგორც აგენტი. თვითოეულ საანგარიშგებო დღეს ჯგუფმა შეაფასა დაგროვილი ქულების ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება კლიენტების მიერ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ეს ქულები განიხილება როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აღიარებულია მხოლოდ შემოსავალში, როცა ქულები მიიღება ან ამოიწურება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი დივიდენდებიდან
შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

ერთჯერადი მუხლები
ჯგუფი ცალკე ახორციელებს კლასიფიკაციას და წარმოდგენს იმ შემოსავალს და ხარჯებს, რომლებიც თავისი ხასიათის გამო არ არის ერთჯერადი. ჯგუფი განსაზღვრავს ერთჯერად შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც გამოიწვია ჯგუფის რეგულარული და ჩვეულებრივი საქმიანობისთვის არდამახასიათებელმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენამ და გამოწვეულია გაურკვეველი ან გაუთვალისწინებელი გარეშე ფაქტორებისგან, რომელთა წარმოქმნა გონივრულად არ იქნებოდა მოსალოდნელი მომავალში, და ამიტომ ისინი არ უნდა იყოს გათვალისწინებულია სამომავლო შედეგების საპროექტო გათვალების მომზადების დროს.

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს. ბანკის სამუშაო ვალუტაა ლარი. ჯგუფის ყველა საწარმო განაზღვრავს საკუთარ სამუშაო ვალუტას, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები იზომება აღნიშნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში.
სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	ლარი სტერლინგტთან	*ლარი აშშდ-თან*	*ლარი ევროსთან*	*ლარი*
31 დეკემბერი 2017	3.5005	2.5922	3.1044	1.3083
31 დეკემბერი 2016	3.2579	2.6468	2.794	1.3532
31 დეკემბერი 2015	3.5492	2.3949	2.6169	1.2904

ანგარიშგების დღეს, იმ საწარმოთა აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამუშაო ვალუტა განსხვავდება ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტისგან, კონვერტირდება ლარში, ანგარიშგების დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით და მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაყვანილია წლის საშუალო შეწონილი კურსით. კონვერტაციიდან გამომდინარე საკურსო სხვაობები პირდაპირ ასახულია კაპიტალის ცალკეულ კომპონენტად. იმ შვილობილი კომპანიის თუ მოკავშირე საწარმოს გადაცემისას, რომლის სამუშაო ვალუტა განსხვავდება ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტისგან, კაპიტალში აღიარებული გადავადებული მთლიანი თანხა, ამ კონკრეტულ საწარმოსთან მიამრთებაში აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

უცხოური ოპერაციის შეძენიდან წარმოშობილი ნებისმიერი გუდვილი და შეძენისას აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების სამართლიანი ღირებულებით ნებისმიერი კორექტირება მოიაზრება უცხოური ოპერაციების აქტივებად და ვალდებულებებად და გადაყვანილია საბოლოო კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და საბუღალტრო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და ნებაყოფლობითი ცვლილებები

ამ ცვლილებების ხასიათის და ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ.

შასს 15 კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი

2014 წლის მაისში შასსს-მ გამოუშვა შასს 15 *კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი,* რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, ნებადართულია დროზე ადრე მიღება. შასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გამოიყენება კლიენტებთან ყველა კონტრაქტის მიმართ. თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი პროცენტი და საკომისიო შემოსავლები და იჯარები კვლავაც სცილდება შასს 15-ის ფარგლებს და რეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით. შასს 15–ის შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია იმ მოცულობით, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც საწარმოო მოსალოდნელია, რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურებების კლიენტისთვის გადაცემის სანაცვლოდ. ეს სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხასიათთან, მოცულობასა და დროსთან ასევე ნებისმიერ შემოსავალი გაურკვევლობასთან და კლინეტების შესაბამისი ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ინფორმაციის წარმოდენის მოთხოვნებს. შასს 15 შეიძლება მიღებული იქნას სრული რესტროსპექტივის ან მოდიფიცირებული რეტროსპექტივის მიდგომის გამოყენებით.

ჯგუფმა დროზე ადრე მიიღო ახალი შემოსავლის აღიარების სტანდარტი, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ადრე მიღების შედეგი იყო გაუნაწილებელი მოგების 10,827 ლარით კლება, დარიცხვების და გადავადებული შემოსავლის შესაბამისი ზრდა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების კლება.

ჯგუფის შემოსავლები, რომელზეც გავლენა მოახდინა შასს 15-ის მიხედვით ოპერაციებმა, მოიცავდა საკომისიო შემოსავალს საკრედიტო ბარათით ოპერაციებიდან და ლოიალობის პროგრამების ფარგლებში საკომისიოს შემოსავლს გარკვეული ოპერაციების შესაბამისად. შემოსავლების მიღების არხებთან დაკავშირებით, შემოსავლების ნაწილი გადავადებული იქნა შასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, შესაბამისს შესრულების ვალდებულებების შესრულებამდე, რომლებიც მოსალოდნელია გამოშვებული საკრედიტო ბარათების და ლოიალობის პროგრამის მიხედვით ბონუს ქულებით ანგარიშსორებისა ან ვადის ამოწურვის სავარაუდო ვადაში.

გაუნაწილებელი შემოსულობების და სხვა ანგარიშების გახსნის კორექტირებების დეტალებია:

	31 დეკემბერი 2016	შასს 15-ის მიღების შედეგი	31 დეკემბერი 2017
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	55,103	12,738	67,841
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალ	22,169	(1,911)	20,258
სხვა	9,422,516	-	9,422,516
სულ ვალდებულებები	**9,499,788**	**10,827**	**9,510,615**
სულ კაპიტალი	**1,233,144**	**(10,827)**	**1,222,317**

(ათას ლარში)

შემოსავლის ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშების და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსური პოზიციის შესახებ სტანდარტის მიღების გავლენის შედეგად მოანცემები შემდეგი იყო:

	31 დეკემბერი 2016	ფასს 15 მიღების შედეგი	31 დეკემბერი 2017
საკომისიო შემოსავალი	191,000	195,932	(4,932)
საკომისიო ხარჯები	(74,730)	(74,730)	-
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**116,270**	**121,202**	**(4,932)**
სხვა	745,784	745,784	-
შემოსავალი	**862,054**	**866,986**	**(4,932)**
სხვა ხარჯები	(323,369)	(323,369)	-
შემოსავალი	**538,685**	**543,617**	**(4,932)**
მოგება	**338,907**	**343,839**	**(4,932)**

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და საბუღალტრო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და ნებაყოფლობითი ცვლილებები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2016	ფასს 15-ის მიღების შედეგი	31 დეკემბერი 2017
სხვა ვალდებულებები	80,157	62,487	17,670
გადავადებული მოგების გადასახადი	11,342	13,253	(1,911)
სხვა	11,047,298	11,047,298	-
მთლიანი ვალდებულებები	**11,138,797**	**11,123,038**	**15,759**
კაპიტალი	**1,481,919**	**1,497,678**	**(15,759)**
ვალდებულებები და კაპიტალი	**12,620,716**	**12,620,716**	**-**

ბას 7 –ის ცვლილებები - ფულადი ნაკადების ანგარიშგება - ინფორმაციის წარმოდგენის ინიციატივა

ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოებისგან წარმოადგინონ მათ ვალდებულებებში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივობების შედეგად, მათ შორის ცვლილებები, რომელიც წარმოიქმნა ფულადი სახსრების ნაკადებიდან და არაფულადი ცვლილებები (როგორიცაა საკურსო ცვლილების შედეგად მოგება ან ზარალი). ჯგუფმა წარმოდგინა ინფორმაცია მიმდინარე პერიოდისთვის შენიშვნაში 18.

ბას 12-ის ცვლილებები - საშემოსავლო გადასახადები: არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება

ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ ნებისმიერ საწარმოს სჭირდება იმის გათვალისწინება კრძალავს თუ არა საგადასახადო კანონი დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომელთან მიმართებაში მას შეუძლია განახორციელოს დაქვითები არარეალიზებულ დანაკარგებთან დაკავშირებით დაქვითვის დროებითი სხვაობის აღდგენისთვის. უფრო მეტიც, ეს ცვლილება უზრუნველყოფს სახელმძღვანელოს იმის შესახებ თუ როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალი დასაქვითი მოგებები და განმარტოს გარემოებები, რომელშიც დასაქვითი მოგება შესაძლოა მოიცავდეს ზოგიერთი აქტივის დაფარვას მათ საბალანსო ღირებულებაზე მეტი თანხით. ჯგუფმა შეაფასა ზემოქმედება და დაასკვნა, რომ ამ ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობაზე.

ფასს 12-ის ცვლილებები - სხვა საწარმოებში წილების შესახებ ინფორმაცია: ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნების სფეროს დაზუსტება

ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ ფასს 12-ის გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები გამოიყენება შვილობილ კომპანიაში, ერთობლივ საწარმოში ან დაკავშირებულ საწარმოში ორგანიზაციის წილის (ან ერთობლივ საწარმოში ან დაკავშირებულ საწარმოში მისი წილის ნაწილი) მიმართ, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად არსებული ან შეტანილია გამსვლელ ჯგუფში. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ფინანსური ინფორმაციაზე.

ბას 16 ძირითადი საშუალებები

2017 წელს, ჯგუფმა შეცვალა თავისი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა ოფისის შენობებსა და მომსახურების ცენტრებთან დაკავშირებით. ჯგუფი ამჟამად იყენებს ღირებულების მოდელს, როცა აქტივები შეძენის ფაქტიურ ღირებულებას გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურება. საღრიცხვო პოლიტიკაში ამგვარ ცვლილებამდე, ჯგუფმა გამოიყენა გადაფასების მოდელი, სადაც საოფისე შენობები და მომსახურების ცენტრები წარმოდგენილი იყო სამართლიანი ღირებულებით გადაფასების დღეს, გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და შემდგომი აკუმულირებული გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ღირებულების მოდელის წარმოადგენს მატერიალური აქტივების უფრო საიმედო და უფრო მნიშვნელოვან პრეზენტაციას რადგან, (1) ის განაპირობებს შესადარისობას ინვესტორებისთვის, რადგან ღირებულების მოდელი არის საბაზრო პრაქტიკა საბანკო სფეროში და (2) ის უფრო აახლოებს აღრიცხვის ბიზნეს მოდელს ამ აქტივების

(ათას ლარში)

კატეგორიის გარშემო. ღირებულების მოდელი გამოყენებული იყო წინა პერიოდების თვითოეული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების ხელახალ ფორმილირებაზე:

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და საბუღალტრო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და ნებაყოფლობითი ცვლილებები (გაგრძელება)

ზემოქმედება კაპიტალზე (ზრდა/(კლება) კაპიტალში):

	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015	1 იანვარი 2015
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**(32,875)**	**(34,634)**	**(45,190)**
ვალდებულებები			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები	**(73)**	**(4,958)**	**(6,405)**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(6,501)	(5,855)	(1,230)
სხვა რეზერვები	(25,433)	(22,708)	(35,695)
არაკონტროლირებადი წილები	(868)	(1,113)	(1,860)
წმინდა გავლენა კაპიტალზე	**(32,802)**	**(29,676)**	**(38,785)**

	2016	2015
სხვა სრული მოგება, რომელიც რეკლასიფიცირებული უნდა იყოს მომდევნო პერიოდების მოგებ/ზარალში		
–საკურსო სხვაობიდან მოგება (ზარალი)	(346)	2,774
საშემოსავლო გადასახდის ეფექტი	(58)	(1,047)
სხვა სრული მოგება, რომელიც არ უნდა იყოს რეკლასიფიცირებული უნდა იყოს მომდევნო პერიოდების მოგებ/ზარალში		
– ძირითადი საშუალებების გადაფასება	2,105	7,782
საშემოსავლო გადასახდის ეფექტი	(4,827)	(400)
სხვა სრულ შემოსავალზე წმინდა ეფექტი	**(3,126)**	**9,109**

საოფისე შენობებისა და მომსახურების ცენტრების საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა 2016 და 2015 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღამდე, გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და არსებული სტანდარტების მიმართ ცვლილებები, რომელიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში, და რომელიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე, ან რომელთა გავლენა ამჟამად ფასდება, შემდეგია:

შფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები

შესავალი

2014 წლის ივლისში, ფასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტები – საბოლოო ვარიანტი, რომელმაც შეცვალა ბას 39-*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება* და 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ წლიური პერიოდისთვის არსებული ყველა წინა ვერსია, ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. 2016 წელს, ჯგუფმა შექმნა მრავალდისციპლინური განხორციელების ჯგუფი, რომელშიც შედიან რისკის, ფინანსების და ოპერაციების ჯგუფების წევრები, და დაიქირავა გარეშე კონსულტანტი საიმისოდ, რომ დაიწყოს ფასს 9-ის განხორციელება. ეს პროექტის დასპონსორებულია რისკის და ფინანსების განყოფილების ხელმძღვანელების მიერ, რომლებმაც უზრუნველყვეს ჯგუფის მმართველი საბჭოს რეგულარული განახლება. განხორციელება შედგებოდა ექვსი მთავარი ეტაპისგან: თავდაპირველი შეფასება და ანალიზი, დაპროექტება, მშენებლობა, შემოწმება, პარალელური მიმდინარეობა და ამოქმედება. ამჟამად ჯგუფმა დაასრულა ფასს 9-ის განხორციელების პროგრამა, მათ შორის ახალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შექმნა და ჯგუფში ფასს 9 საბუღალტრო აღიცხვის პოლიტიკის დამტკიცება.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

ჯგუფი მიიღებს ახალ სტანდარტს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან მიღების შედეგად შეფასებული ზემოქმედების 2018 წლის 1 იანვრიდან გაუნაწილებელი შემოსულობების გახსნაში აღიარებით და როგორც ეს დაშვებულია ფასს 9-ის შესაბამისად, ის არ მოახდენს შესადარისი ინფორმაციის ხელახლა ფორმულირებას. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შეაფასა, რომ ფასს 9-ის მიღება გამოიწვევს 2018 წლის 1 იანვრისთვის აქციონერების კაპიტალის გადასახადის გადახდამდე დაახლოებით 31,514 ლარით კლებას. ფასს 9 სავარაუდოდ გავლენას ვერ მოახდენს მარეგულირებელ კაპიტალზე და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე (საქართველოში მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და გამოიყენება ამ ბანკის მიმართ დამოუკიდებლად).

(a) **კლასიფიკაცია და შეფასება**

კლასიფიკაციისა და შეფასების პერსპექტივიდან გამომდინარე ახალი სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა ფინანსური აქტივი, გარდა წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებულებისა, შეფასდეს საწარმოს ბიზნეს მოდელის კომბინაციის საფუძველზე საიმისოდ, რომ განხორციელდეს აქტივების და ინსტრუმენტების საკონტრაქტო ფულადი სახსრების ნაკადის მახასიათებლების მართვა. ბასს 39 შეფასების კატეგორიები ჩაენაცვლება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის (FVPL) ფარგლებში, სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9 ასევე საშუალებას აძლევს საწარმოებს საბოლოოდ განსაზღვრონ ინსტრუმენტები, რომლებიც აფასებენ ამორტიზებულ ღირებულებას ან სამართლიან ღირებულებას სხვა სრული შემოსავლის ინსტრუმენტების ფარგლებში როგორც FVPL, თუ ამის გაკეთება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების შეუსაბამობას. წილობრივი მონაწილეობის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, შეიძლება საბოლოოდ განისაზღვროს როგორც FVOCI, მოგება-ზარალის ანაგარიშგებაში მოგების ან ზარალის შემდგომი რეკლასიფიკაციის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი ძირითადად იქნება ისეთივე. როგორიც იყო ბასს 39-ის მოთხოვნებში, გარდა იმ მოგების ან ზარალისა, რომელიც წარმოიქმნა FVPL-ს შესაბამისად განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით საწარმოს საკრედიტო რისკის შედეგად. ასეთი ცვლილებები წარმოდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემდგომი რეკლაისფიკაციის გარეშე მანამ, სანამ საღრიცხო შეუსაბამობა არ წარმოიქმნება მოგებასა ან ზარალში.

ჯგუფი აპირებს გააგრძელოს ამჟამად სამართლიანი ღირებულებით ფლობილი ყველა ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება. სავალო ფასიან ქაღალდებში და ჩვეულებრივ აქციებში ინვესტიციები, რომლებიც წარმოადგენს გასაყიდად არსებულ აქციებს სხვა სრულ მოგება-ზარალში რეგისტრირებული მოგებით და ზარალით, კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ მოგება-ზარალში. სესხების უდიდესი უმრავლესობა სავარაუდოდ დააკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს და კვლავაც შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

(b) **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფასს 9 მოითხოვს, რომ ჯგუფმა დააფიქსიროს პერპექტივაში მოსალოდნელი ზარალის (ECL) სარეზერვო ფონდი ყველა მის სავალო ფინანსურ აქტივთან დაკავშირებით ამორტიზებული ღირებულებით ან FVOCI, ისევე როგორც სესხის ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ეს სარეზერვო ფონდი ეფუძნება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობასთან დაკავშირებულ პერპექტივაში მოსალოდნელ ზარალს გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა არის მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში მისი შექმნიდან, რომელ შემთხვევაშიც სარეზერვო ფონდი ეფუძნება პერპექტივაში მოსალოდნელ ზარალს ექსპლუატაციის პერიოდში. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შესყიდულ ან წარმოქმნილ გაუფასურებულ კრედიტს, სარეზერვო ფონდი ეფუძნება პერპექტივაში მოსალოდნელი ზარალის

(ათას ლარში)

ექსპლუატაციის ვადაში ცვლილებას. ჯგუფმა განსაზღვრა, რომ გაუფასურების რეზერვი გაიზრდება 31,197 ლარით.

და ბოლოს, ფასს 9-ის მიღების გადასახადის გადახდამდე ზემოქმედება მოსალოდნელია რომ იქნება:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახადის გადახდამდე კაპიტალზე (ზრდა/(კლება)) ზემოქმედება:

	Aკორექტირება	**თანხა**
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	(b)	(80)
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები	(b)	(598)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები	(b)	(30,519)
სხვა აქტივები	(b)	3
სულ აქტივები		**(31,194)**
ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები- რეზერვები	(b)	320
ბანკის აქციონერებისთვის მიკუთვნებული მთელი კაპიტალი	(b)	(31,514)
სულ კაპიტალი		**(31,514)**

ფასს 2–ის ცვლილება - წილობრივი გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასსს-მა გამოსცა ფასს 2-ის– *წილობრივი გადახდა* – ცვლილება, რომელიც ეხება სამ მთავარ სფეროს: ფულადი ანგარიშსწორების პირობით ოპერაციის შეფასებაზე ზემოქმედება; წილობრივი გადახდის ოპერაციის კლასიფიკაცია სუფთა ანგარიშსწორების მახასიათებლები საგადასახადო ვალდებულებების დაკავებისთვის; და აღრიცხვა რამდენად ცვლის წილობრივი გადახდის ოპერაციის პირობების მოდიფიკაცია ფულადი ანგარიშსწორების პირობით ოპერაციის კლასიფიკაციას. მიღების შემდეგ, ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ცვლილებები წინა პერიოდების ხელახლაფორმულირების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტული გამოყენება ნებადარულია, თუ შერჩეული იქნება ყველა სამივე ცვლილება და სხვა კრიტერიუმები შესრულდება. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის, ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს ზემოქმედების შეფასებას.

IFRS 16 Leases

.

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 გამოშვებული იქნა 2016 წლის იანვარში, და მან შეცვალა: ბას 17 -*იჯარები,* IFRIC 4 *განსაზღვრა-მოიცავს, თუ არა ეს შეთანხმება იჯარას*, SIC-15 *საოპერაციო იჯარები - სტიმულირების ღონისძიებები* და SIC-27 *ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.* ფასს 9-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპებს და მოითხოვს მოიჯარეებისგან, რომ ბალანსის შემდგომი ერთი მოდელის შესაბამისად ყველა იჯარა ბას 17 -ის შესაბამისად ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსი იყოს. ეს სტანდარტი მოიცავს ორ აღიარებულ გამონაკლის მოიჯარეებთან დაკავშირებით - „დაბალ-ღირებულიანი აქტივების იჯარები" (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები ვადით) და იჯარის დაწყების ვალდებულება, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოუყენებული იყოს განსაზღვრული აქტივი იჯარის ვადაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო დანახარჯი იჯარის ვალდებულებაზე და ცვეთის დანახარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

მოიჯარეები ასევე ვადლდებული არიან გადააფასონ იჯარის ვალდებულება გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებით. მოიჯარე ზოგადად აღიარებს

(ათას ლარში)

იჯარის ვალდებულების გადაფასების თანხას აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირების სახით.

ფასს 16-ის შესაბამისად მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბას 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბას 17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს : საოპერაციო და ფინანსური იჯარები.

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო ფართოდ წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბას 17 -ის შესაბამისად.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდიდან ან შემდეგ. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენება, მაგრამ სანამ რომელიმე ორგანიზაცია გამოიყენებს ფასს 15-ს. მოიჯარეს შეუძლია არჩიოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტივის ან მოდიფიცირებული რეტროსპექტივის მეთოდის გამოყენებით. სტანდარტის გადაცემის დებულებები უშვებს გარკვეულ შეღავათებს. 2018 წელს კომპანია დაასრულებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას.

საინვესტიციო ქონების გადაცემა (ბას 40-ის შესწორებები)

ეს ცვლილებები აზუსტებს როდის უნდა განახორციელოს ორგანიზაციამ ქონების, მათ შორის მშენებლობის ან განვითარების პროცესში ამ საინვესტიციო ქონების ფარგლებს გარეთ არსებული ქონების გადაცემა.
ეს ცვლილებები ასევე ადასტურებს, რომ გამოყენების ცვლილება მოხდება, როცა ქონება აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განსაზღვრას და არსებობს გამოყენებაში ცვლილების მტკიცებულება. ხელმძღვანელობის განზრახვაში ქონების გამოყენებასთან დაკავშირებით მარტივი ცვლილება წარმოადგენს გამოყენებაში ცვლილების მტკიცებულებას. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ პერსპექტივის თვალსაზრისით გამოყენებაში ცვლილებები, რომელიც წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისა დღეს ან შემდეგ, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად გამოიყენებს ცვლილებებს. ნებისმიერმა საწარმომ უნდა გადააფასოს ამ თარიღისთვის ფლობილი ქონების კლასიფიკაცია, და თუ შესაძლებელია, განახორციელოს ქონების რეკლასიფიკაცია საიმისოდ, რომ ასახოს პირობები, რომლებიც არსებობს ამ თარიღისთვის. რეტროსპექტული გამოყენებას ბას 8-ის შესაბამისად ნებადართული მხოლოდ, თუ ეს შესაძლებელია რეტროსპექტივის გამოყენების გარეშე. ეს ცვლილება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრისთვის დაწყებულიყო პერიოდისთვის. ჯგუფის ამჟამად ახორციელებს ზემოქმედების შეფასებას.

2015-2017 წლების ციკლის ფასს-ების წლიური გაუმჯობესება

ფასს 3 ბიზნეს კომბინაცია

ფასს 3 –ის ცვლილებები აზუსტებს, რომ როცა ორგანიზაცია მოიპოვებს ბიზნესზე კონტროლს, ეს არის ერთობლივი ოპერაცია. ის ხელახლა აფასებს ამ ბიზნესში ადრე ფლობილ წილებს.

ეს ცვლილებები გამოყენებული უნდა იყოს პერპექტიულად და ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია. ჯგუფი არ მოელის ამ ცვლილებებით გამოწვეულ მნიშვნელოვან შედეგებს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

ბას 12, საშემოსავლო გადასახადები

ბას 12 –ის ცვლილებები აზუსტებს, რომ დივიდენდების საშემოსავლო გადასახადის შედეგები (თუკი არის), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

• იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
• მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით ორგანიზაციამ აღიარა თუ არა წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბას 12-ის ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია უფრო ადრე გამოყენება. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ დივიდენდებზე საშემოსავლო გადასახადის შედეგების ცვლილება, რომელიც აღიარებულია წარმოდგენილი ადრინდელი შესადარის პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ.

ბას 28 *დაკავშირებულ და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციები – დაზუსტება, რომ ინვესტიციის ობიექტების შეფასება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით ხდება თვითოეული ინვესტიციის მიხედვით*

ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თვითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- თუ რომელიმე კომპანიას, რომელიც არა არის თვითონ საინვესტიციო კომპანია, აქვს წილი რომელიმე ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, ამ კომპანიას შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს სამართლიანი ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თვითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება: (ა) საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია; (ბ) ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და (გ) საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

ეს ცვლილებები გამოყენებული უნდა იყოს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ამ ცვლილებების გამოყენების შედეგად.

ფასს-ის ინტერპრეტაცია 22 საგალუტო ოპერაციები და მნიშვნელოვანი წინასწარი განხილვები

ეს ინტერპრეტაცია აზუსტებს, რომ არამონეტარული აქტივის ან ვალდებულების აღიარების მოხსნისას დაკავშირებული აქტივის, დანახარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას გამოსაყენებელი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღი არის დღე, როცა კომპანია თავდაპირველად აღიარებს არამონეტარულ აქტივს ან არამომენტარულ ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა მნიშვნელოვანი წინასწარი განხილვების შედეგად. ეს ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ამ ინტერპრეტაციას, ჯგუფი არ ელის რაიმე ზემოქმედებას მის კომბინირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს-ის ინტერპრეტაცია 23 მოგების გადასახდებთან დაკავშირებული გაურკვევლობები

ეს ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადებს, როცა გადასახადის რეჟიმი მოიცავს რაიმე გაურკვევლობას, რომელიც გავლენას ახდენს ბას 12-ის გამოყენებაზე და არ გამოიყენება გადასახადების მიმართ, რომელიც არ არის გათვალისწინებული ბას 12-ის შესაბამისად, ის ასევე კონკრეტულად არ მოიცავს გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ასოცირებულ წილებთან და საურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
ნებიმიერმა კომპანიამ უნდა განსაზღვროს განიხილოს თვითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე, თუ ორ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად. ეს მიდგომა, რომელიც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობების გადაწყვეტის საკითხებს, უნდა იყოს გამოყენებული. ეს ინტერპრეტაცია ასევე ეხება ვარაუდებს, რომელსაც ნებისმიერი კომპანია აკეთებს ნებისმიერი საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო რეჟიმის შემოწმებასთან დაკავშირებით, ასევე როგორ განიხილავს ის ცვლილებებს ფაქტებსა და გარემოებებში.

ეს ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული ანგარიშგების პერიოდებისთვის, მაგრამ არსებობს გარკვეული საოპერაციო შეღავათები. ჯგუფი ამჟამად აფასებს ზემოქმედებას.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, დირექტორთა საბჭო იყენებს თავის შეფასებებს და განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებს. შეფასებებისა და დაშვებების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება ხდება შემდეგნაირად:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება
თუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ვერ მიიღება აქტიური ბაზრებიდან, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რომელიც მოიცავს მათემატიკური მოდელების გამოყენებას. ამ მოდელისთვის ინფორმატიცს აღება ხდება სხვადასხვა დაკვირვების ქვეშ არსებული ბაზრებიდან, თუ შესაძლებელია, მაგრამ როცა ეს შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების დასადგენად საჭიროა გარკვეული გადაწყვეტილების მირება სამართლიანი ღირებულებების დასადგენად (შენიშვნა 28).

საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების და საოფისე შენობების და მომსახურების ცენტრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი კვალიფიციური შემფასებლების მიერ, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შიდა კაპიტალიზაციის მეთოდის (ასევე ცნობილია როგორც დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მეთოდი) და გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი აფასებს თავის საინვესტიციო ქონებას და მიწას, საოფისე შენობებს და მომსახურების ცენტრებს სამართლიანი ღირებულებებით. შეფასების შედეგები წარმოდგენილია 11 და 12 შენიშვნებში, ხოლო შეფასების მონაცემები და მეთოდები მითითებულია შენიშვნაში 27. ჯგუფის ქონება გადანაწილებულია ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. იმ დროს როცა საქართველოში არსებული მეორადი ბაზარი წარმოადგენს ადეკვატურ საბაზრო ინფორმაციას მცირე და საშუალო ზომის საკუთრებასთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულები განსაზღვრისთვის, დიდი და განსაკუთრებული საკუთრების შეფასება მოიცავს სხვადასხვა დაკვირვებას დაქვემდებარებული და არდაქვემდებარებული მონაცემების გამოყენებას საიმისოდ, რომ განხორციელდეს არსებული შესადარისი გასაყიდი ფასების კორექტირებები. ეს მაჩვენებლები და ვარაუდები ეფუძნება საუკეთესო არსებულ ინფორმაციას, თუმცა ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავებული იყოს.

სესხების, მოთხოვნების, და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მოთხოვნების, ასევე ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ჯგუფი იყენებს საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ხარჯის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და მოიპოვება ისტორიული მონაცემები ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში. შესაბამისად, ჯგუფი ელის სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას, რადგან არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა და დაფარვების სტატუსის გაუარესება. ხელმძღვანელობა იყენებს შეფასებებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე და საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით და ობიექტურ საფუძველს ანალოგიური სესხებისა და მოთხოვნების ან მათი ჯგუფის გაუფასურებასთან მიმართებაში. ჯგუფი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების აღრიცხვის მიზნით.

ჯგუფი განიხილავს უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას, როცა აფასებს უზრუნველყოფილი სესხების და დებიტორული დავალიანებებისა და ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილ ზარალს. ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს თავის გამოცდილებაზე დამყარებულ გადაწყვეტილებას ან დამოუკიდებელ მოსაზრებას სამართლიანი ღირებულების კორექტირებისთვის, რათა მასში აისახოს არსებული გარემოებები. მოთხოვნილი უზრუნველყოფის ტიპი და მოცულობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

ინფორმაცია სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის შესახებ წარმოდგენილია 10 და 11 შენიშვნებში.

(ათას ლარში)

5. ბიზნეს გაერთიანებები

შპს საქართველოს ლიზინგის კომპანიის შეძენა

2017 წლის 30 ივნისს, ჯგუფმა შეიძინა საქართველოს ლიზინგის კომპანიაში 100% წილი მთლიანობაში 10,066 ლარის მოცულობით. ჯგუფი განიხილავს ამ შეძენას როგორც საერთო კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოებს შორის ოპერაციას და ამიტომ გადაწყვიტა საბუღალტრო აღრიცხვის მიზნით გამოიყენოს წილების გაერთიანების მეთოდი. ოპერაციის ღირებულებასა და სუფთა აქტივის საბალანსო ღირებულება შორის სხვაობა შეტანილია სხვა რეზერვებში.

საქართველოს ლიზინგის კომპანიაში გამოვლენილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეძენის თარიღის დროს იყო:

	შეძენისას აღიარებული პირობითი სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,933
ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები	33,618
ძირითადი საშუალებები	2,479
სულ აქტივები	18,943
	56,973
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ გადასახდელი თანხები	22,107
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	24,630
თანამრომლის კომპენსაციისთვის დანარიცხე	3,795
სხვა ვალდებულებები	1,233
	51,765
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	**5,208**
სხვა რეზერვები	4,858
გაცემული თანხა[2]	**10,066**

	2017
გადახდილი თანხა	(10,066)
შვილობილ კომპანიაში შეძენილი თანხა	1,933
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	**(8,133)**

თუ შეძენა მოხდებოდა ანგარიშგების პერიოდის დასაწყისში, ჯგუფის შემოსავალი და მოგება მნიშვნელოვნად არ დაზარალდებოდა.

ბიზნეს გაერთიანებები საერთო კონტროლის ქვეშ გულისხმობს წილების გაერთიანების მეთოდის გამოყენებას. შეძენის თარიღისთვის, შეძენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარებულია საბალნსო ღირებულებით და არ კეთდება რაიმე კორექტირება სიამისოდ, რომ აისახოს გაერთიანების დღეს სამართლიანი ღირებულებები. გადაცემულ თანხასა და შეძენილ სუფთა აქტივებს შორის სხვაობა აღიარებულია როგორც კაპიტალის კორექტირება. საერთო კონტროლის ქვეშ ბიზნეს გაერთიანების შედეგად გუდვილი არ არის აღიარებული.

(ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნით ჯგუფი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად პროდუქტების და მომსახურებების მიხედვით:

საცალო საბანკო მომსახურება - ძირითადად უზრუნველყოფს სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ სესხებს, ოვერდრაფტებს, საკრედიტო ბარათებს და კრედიტირების სხვა წყაროებს და სხვა საკრედიტო წყაროებს, ასევე სახსრების გადარიცხვის და ანგარიშსწორების მომსახურებებს, მართავს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირების ანაბრებს, რომელიც მოიცავს დიდ სეგმენტს, საცალო მასობრივ ბაზრებს, მცირე და საშუალო საწარმოებსა და მიკრო ბიზნესს.

კორპორატიული საბანკო მომსახურება - ძირითადად უზრუნველყოფს სესხებსა და სხვა საკრედიტო წყაროებს და საშუალო და მცირე და მიკრო საწარმოებზე დიდი იურიდიული პირებისთვის, უზრუნველყოფს სახსრების გადარიცხვის და ანგარიშსწორების მომსახურებებს, სავაჭრო საფინანსო მომსახურებებს და დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერას, დანაზოგებსა და ვადიან დეპოზიტებს კორპორატიული და ინსტიტუციური კლიენტებისთვის.

ინვესტიციის მართვა - ძირითადად უზრუნველყოფს კერძო საბანკო მომსახურებებს რეზიდენტი და არარეზიდენტი მდიდარი ფიზიკური პირებისთვის, ისევე როგორც მათი უშუალო ოჯახის წევრებისთვის ინდივიდუალური მიდგომებისა და ექსკლუზიურობის გამოყენებით გადარიცხულ თანხებთან, სავალუტო კურსა ან ანგარიშსწორების ოპერაციები საერთო საბანკო მომსახურების გაწევასთან ან მათ დანაზოგებსა და ვადიან დეპოზიტებთან დაკავშირებით; ინვესტიციის მართვა მოიცავს იმავე ფიზიკური პირებისთვის ქონების მართვისა და აქტივის მართვის მომსახურებების გაწევას სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობების და განსაკუთრებით შექმნილი საინვესტიციო პროდუქტების საშუალებით. ასევე მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებებს;

BNB - მოიცავს სს ბელორუსკი ნაროდნი ბანკს, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფენ საცალო და კორპორატიულ საბანკო მომსახურებებს ბელორუსში.

სხვა– მოიცავს რამდენიმე მცირე კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის კომპანიას

ხელმძღვანელობა ამოწმებს მისი ბიზნეს ერთეულების საქმიანობას ცალკე რესურსების განაწილებისა და საქმიანობის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სეგმენტის საქმიანობა, როგორც ქვემოთ ცხრილშია აღწერილი, ფასდება იმავე ფორმით როგორც მოგება ან ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საოპერაციო სეგმენტებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება მხარეთა დამოუკიდებლობის პრინციპით მესამე მხარეებთან ტრანზაქციების მსგავსად.
ბანკის ოპერაციები ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში, BNB-ს გარდა, რომელიც ფუნქციონირებს ბელორუსიაში.
ერთ გარეშე კლიენტთან ან პარტნიორთან ტრანზაქციიდან არცერთი შემოსავალი არ შეადგენდა 2017, 2016, ან 2015 წლებში ჯგუფის მთლიანი შემოსავლის 10%-ს ან მეტს.

(Thousands of Georgian Lari)

6. Segment Information (continued)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოგება/ზარალის ანგარიშგების და კონკრეტული აქტივისა და ვალდებულების შესახებ, ჯგუფის საოპერაციო სეგმენტში, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	კორპორატიული საბანკო საქმიანობა	*საცალო საბანკო საქმიანობა*	*ინვესტიციის მართვა*	*BNB*	*სხვა*	*სეგმენტშორის ტრანზაქციები და ნაშთი*	*სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	110,384	480,241	24,482	29,397	9	34	644,547
წმინდა გასამჯელო და საკომისიო შემოსავალი	22,787	83,418	729	9,336	-	-	116,270
წმინდა უძრავი ქონებიდან შემოსავალი (ზარალი)	4,350.00	1,587.00	(475.00)	412.00	-	(195.00)	5,679.00
ვალუტიდან წმინდა შემოსავალი	44,601	27,940	2,347	10,852	-	-	85,740
სხვა შემოსავალი	4,366	3,605	485	1,362	-	-	9,818
შემოსავალი	**186,488**	**596,791**	**27,568**	**51,359**	**9**	**(161)**	**862,054**
საოპერაციო ხარჯები	(61,113)	(224,892)	(9,894)	(27,063)	(568)	161	(323,369)
საოპერაციო შემოსავალი (დანახარჯი) საკრედიტო რისკის ხარჯამდე	**125,375**	**371,899**	**17,674**	**24,296**	**(559)**	**-**	**538,685**
საკრედიტო რისკის ხარჯი	(48,698)	(110,562)	4	(9,093)	-	-	(168,349)
წმინდ საოპერაციო შემოსავალი (ზარალი) ერთჯერად მუხლებამდე	**76,677**	**261,337**	**17,678**	**15,203**	**(559)**	**-**	**370,336**
წმინდა ერთჯერადი მუხლები	(749)	(2,584)	(196)	(60)	-	-	(3,589)
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის სარგებლამდე	**75,928**	**258,753**	**17,482**	**15,143**	**(559)**	**-**	**366,747**
მოგების გადასახადის ხარჯები	(5,404)	(18,870)	(1,309)	(2,257)	-	-	(27,840)
წლის მოგება (ზარალი)	**70,524**	**239,883**	**16,173**	**12,886**	**(559)**	**-**	**338,907**
აქტივები და ვალდებულებები							
სულ აქტივები	4,246,985	7,707,139	36,398	624,835	22,465	(17,106)	12,620,716
სულ ვალდებულებები	3,709,073	6,877,763	23,547	545,315	205	(17,106)	11,138,797
სეგმენტის შესახებ სხვა ინფორმაცია							
ძირითადი საშუალებები	5,531	41,915	568	1,464	-	-	49,478
არამატერიალური აქტივები	2,532	18,819	218	999	-	-	22,568
კაპიტალური დანახარჯები	**8,063**	**60,734**	**786**	**2,463**	**-**	**-**	**72,046**
ცვეთა	(3,539)	(26,086)	(423)	(858)	-	-	(30,906)
ამორტიზაცია	(874)	(6,321)	(73)	(240)	-	-	(7,508)

(Thousands of Georgian Lari)

6. Segment Information (continued)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოგება/ზარალის ანგარიშგების და კონკრეტული აქტივისა და ვალდებულების შესახებ, ჯგუფის საოპერაციო სეგმენტში, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	კორპორატიული საბანკო საქმიანობა	*საცალო საბანკო საქმიანობა*	*ინვესტიციის მართვა*	*BNB*	*სხვა*	*სეგმენტშორის ტრანზაქციები და ნაშთი*	*სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	113,052	371,060	20,294	30,773	3	-	535,182
წმინდა გასამჯელო და საკომისიო	25,346	76,372	710	7,462	-	-	109,890
წმინდა უძრავი ქონებიდან შემოსავალი	5,845	2,596	(7)	392	-	(195)	8,631
ვალუტიდან წმინდა შემოსავალი	45,792	26,605	2,920	8,452	(1)	-	83,768
სხვა შემოსავალი	2,577	785	579	(1,130)	-	(592)	2,219
შემოსავალი	**192,612**	**477,418**	**24,496**	**45,949**	**2**	**(787)**	**739,690**
საოპერაციო ხარჯები	(52,839)	(185,478)	(9,503)	(20,905)	336	787	(267,602)
საოპერაციო შემოსავალი (დანახარჯი) საკრედიტო რისკის ხარჯამდე	**139,773**	**291,940**	**14,993**	**25,044**	**338**	**-**	**472,088**
საკრედიტო რისკის ხარჯი	(70,075)	(75,690)	419	(15,797)	-	-	(161,143)
წმინდ საოპერაციო შემოსავალი (ზარალი) ერთჯერად მუხლებამდე	**69,698**	**216,250**	**15,412**	**9,247**	**338**	**-**	**310,945**
წმინდა ერთჯერადი მუხლები	(13,559)	(32,647)	(1,545)	(1,418)	-	-	(49,169)
მოგება (ზარალი) საშემოსავლო გადასახადამდე (ხარჯამდე) სარგებელი გაგრძელებული ოპერაციებიდან	**56,139**	**183,603**	**13,867**	**7,829**	**338**	**-**	**261,776**
მოგების გადასახადის (ხარჯი)	10,067	21,733	1,090	(5,141)	(431)	-	27,318
წლის მოგება (ზარალი) გაგრძელებულ ოპერაციებიდან	**66,206**	**205,336**	**14,957**	**2,688**	**(93)**	**-**	**289,094**
(ზარალი) მოგება შეწყვეტილი	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
წლის მოგება (ზარალი)	**66,206**	**205,336**	**14,957**	**2,688**	**(93)**	**-**	**289,094**
აქტივების და ვალდებულებები							
სულ აქტივები	4,139,060	5,987,954	49,726	544,727	27,372	(15,907)	10,732,932
სულ ვალდებულებები	3,661,784	5,343,030	34,941	475,256	684	(15,907)	9,499,788
სეგმენტის შესახებ სხვა ინფორმაცია							
ძირითადი საშუალებები	4,326	28,716	459	1,407	67	-	34,975
არამატერიალური აქტივები	1,368	9,042	115	300	-	-	10,825
კაპიტალური დანახარჯები	**5,694**	**37,758**	**574**	**1,707**	**67**	**-**	**45,800**
ცვეთა	(3,638)	(24,150)	(448)	(917)	-	-	(29,153)
ამორტიზაცია	(716)	(4,731)	(60)	(223)	-	-	(5,730)

(Thousands of Georgian Lari)

6. Segment Information (continued)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოგება/ზარალის ანგარიშგების და კონკრეტული აქტივისა და ვალდებულების შესახებ, ჯგუფის საოპერაციო სეგმენტში, 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

(Thousands of Georgian Lari)

	კორპორატიული საბანკო	საცალო საბანკო საქმიანობა	ინვესტიციების მართვა	BNB	P&C	GHG	M2	ლიბერთი ქონსიუმერი	სხვა	სეგმენტშორისი ტრანზაქციები	სულ
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	134,031	322,711	20,008	29,890	-	-	-	-	(583)	-	506,057
წმინდა გასამჯელო და საკომისიო	31,178	63,818	900	9,198	-	-	-	-	-	-	105,094
წმინდა უძრავი ქონებიდან შემოსავალი	5,531	5,941	69	485	-	-	-	-	-	(195)	11,831
ვალუტიდან წმინდა შემოსავალი	32,681	14,488	1,614	17,036	-	-	-	-	(1)	-	65,818
სხვა შემოსავალი	2,819	3,604	87	1,713	-	-	-	-	(1)	-	8,222
შემოსავალი	**206,240**	**410,562**	**22,678**	**58,322**	**-**	**-**	**-**	**-**	**(585)**	**(195)**	**697,022**
საოპერაციო ხარჯები	(50,381)	(161,312)	(9,109)	(19,731)	-	-	-	-	(417)	195	(240,755)
საოპერაციო შემოსავალი (დანახარჯი) საკრედიტო რისკის ხარჯამდე	**155,859**	**249,250**	**13,569**	**38,591**	**-**	**-**	**-**	**-**	**(1,002)**	**-**	**456,267**
საკრედიტო რისკის ხარჯი	(55,312)	(75,407)	(453)	(19,270)	-	-	-	-	-	-	(150,442)
წმინდ საოპერაციო შემოსავალი (ზარალი) ერთჯერად მუხლებამდე	**100,547**	**173,843**	**13,116**	**19,321**	**-**	**-**	**-**	**-**	**(1,002)**	**-**	**305,825**
წმინდა ერთჯერადი მუხლები	(2,838)	(8,962)	(337)	1,478	-	-	-	-	-	-	(10,659)
მოგება (ზარალი) საშემოსავლო გადასახადამდე (ხარჯამდე) სარგებელი გაგრძელებული ოპერაციებიდან	**97,709**	**164,881**	**12,779**	**20,799**	**-**	**-**	**-**	**-**	**(1,002)**	**-**	**295,166**
მოგების გადასახადის (ხარჯი)	(14,605)	(23,412)	(2,049)	(2,753)	-	-	-	-	97	-	(42,722)
წლის მოგება (ზარალი) გაგრძელებულ ოპერაციებიდან	**83,104**	**141,469**	**10,730**	**18,046**	**-**	**-**	**-**	**-**	**(905)**	**-**	**252,444**
(ზარალი) მოგება შეწყვეტილი	**(1,518)**	**1,593**	**2,919**	**-**	**69**	**17,995**	**(2,408)**	**(1,978)**	**(8,394)**	**-**	**8,278**
წლის მოგება (ზარალი)	**81,586**	**143,062**	**13,649**	**18,046**	**69**	**17,995**	**(2,408)**	**(1,978)**	**(9,299)**	**-**	**260,722**
აქტივების და ვალდებულებები											
სულ აქტივები	3,858,745	4,543,768	89,567	469,318	-	-	-	-	14,887	(7,374)	8,968,911
სულ ვალდებულებები	3,245,177	3,091,788	1,056,127	388,096	-	-	-	-	166	(7,374)	7,773,980
სეგმენტის შესახებ სხვა ინფორმაცია											
ძირითადი საშუალებები	5,684	41,774	941	1,193	319	30,904	462	1,291	159	-	82,727
არამატერიალური აქტივები	870	5,753	63	598	621	1,678	-	12	7	-	9,602
კაპიტალური დანახარჯები	**6,554**	**47,527**	**1,004**	**1,791**	**940**	**32,582**	**462**	**1,303**	**166**	**-**	**92,329**
ცვეთა	(3,389)	(23,453)	(414)	(898)	(244)	(5,275)	(82)	(755)	-	-	(34,510)
ამორტიზაცია	(688)	(4,166)	(54)	(140)	(187)	(121)	(10)	(5)	-	-	(5,371)

(ათასი ლარი)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	*2016*	*2015*
ნაღდი ფული	464,877	478,256	447,015
მიმდნარე ანგარიშები ცენტრალურ ბანკებში, გარდა	91,692	150,152	152,455
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	181,131	446,142	415,463
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო	763,954	412,620	361,849
ფული და ფულის ეკვივალენტები	**1,501,654**	**1,487,170**	**1,376,782**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 929,676 ლარი (2016: 812,798,2015: GEL 661,543 ლარი) შეტანილ იქნა მიმდინარე და ვადიანი დეპოზიტის ანგარიშებზე საერთაშორისოდ აღიარებულ "OECD"-ს ბანკებში და ცენტრალურ ბანკებში, რომლებიც ჯგუფის საერთაშორისო გარიგებებში მონაწილე შეთანხმებული მხარეები არიან. ჯგუფი საშუალოდ წლიურ 2.00%-მდე პროცენტამდე გამოიმუშავებდა აღნიშნულ დეპოზიტებზე (2016: 0.90%; 2015: 0..59 %-მდე). ხელმძღვანელობის ვარაუდით მოსალოდნელი არ არის რაიმე ზარალი მხარეების შესურულებლობის შედეგად, რომლებიც ფლობენ ფულს და ფულად ექვივალენტებს, და რაიმე არსებითი განსხვავება მათ საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის არ არსებობს.

8. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

Amounts due from credit institutions

	2017	*2016*	*2015*
სავალდებულო რეზერვი ცენტრალურ ბანკებში	1,000,565	934,996	620,287
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ვადიანი დეპოზიტები	209,227	38	29
დეპოზიტები დაგირავებული როგორც შეუსრულებელი ვალდებულების უზრუნველყოფა	-	-	96,405
ბანკთაშორის სასესხო მოთხოვნები	6,551	5,451	1,956
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**1,216,343**	**940,485**	**718,677**

სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკებში წარმოადგენს „სებ"-ში („საქართველოს ეროვნული ბანკი"), „ბებ"-ში („ბელარუსიის ეროვნული ბანკი" - NBRB) დეპოზიტის სახით შეტანილ თანხებს. საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საპროცენტო სარგებლის მქონე ფულადი დეპოზიტი (სავალდებულო რეზერვი) ცენტრალურ ბანკებში, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულების მიერ მოზიდული სახსრების მოცულობაზე. ჯგუფის უფლება ამგვარი დეპოზიტების გამოტანასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით. ჯგუფმა მიიღო 1.00%-მდე პროცენტი სებ-სა და NBRB-ში სავალდებულო რეზერვებზე 2017 წლის 31 დეკემბერს დარსულებული წლისთვის (2016: 0.25%, 2015: ნული).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკთაშორის სასესხო მოთხოვნები შეიცავს 6,551 ლარს (2016: 2,164 ლარი, 2015: 1,956 ლარი), რომლებიც გაცემულია არა OECD ბანკებზე.

9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	2017	*2016*	*2015*
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები*	847,839	811,531	575,590
ფინანსთა სამინიტროს სახაზინო თამასუქები**	77,460	88,411	165,545
ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები***	73,415	24,015	76,807
სხვა სავალო ინსტრუმენტები ****	614,844	359,650	84,003
კორპორატიული ობლიგაციები	201	295	295
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**1,613,759**	**1,283,902**	**902,240**

ჯგუფმა აღიარა 193,160 ლარი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რომელიც უკავშირდება კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი.

საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა ქვემოთ წარმოდგენილი შემოსავალთან დაკავშირებული საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები:

გადავადებული გადასახადი	17,730	12,798

ჯგუფმა არ უნდა შეცვალოს დაპირებული ფულადი თანხა მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებთან დაკავშირებით, კონტრაქტის დასაწყისში, თუ ჯგუფი მოელის რომ ჯგუფის მიერ კლიენტისთვის დაპირებულ საქონლეს ან მომსახურებას და კლიენტის მიერ ამ საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდას შორის პერიოდი იქნება ერთი წელი ან ნაკლები.

ჯგუფმა აღიარა 5.531 ლარი შემოსავალი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც უკავშირდება გადატანილ საკონტრაქტო ვალდებულებები და შეტანილია გადავადებულ შემოსავალში.

გაყიდვის ფასი მიკუთვნებულია დარჩენილ შესრულების ვალდებულებებს

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი მოიცავს შემოსავალს, რომელიც სავარაუდოდ აღიარებული იქნება მომავალში იმ შესრულების ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეუსრულებელია ანგარიშგების თარიღისთვის.

შემოსავალი	16,773	7,559	3,223	3,618	495	31,668

ჯგუფი იყენებს პრაქტიკულ საშუალებას შასს 15-ის 121 პარაგრაფში და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი შესრულების ვალდებულებების შესახებ, რომლის თავდაპირველი მოსალოდნელი ხანგრძლივობაა 1 წელი ან ნაკლები.

23. უძრავი ქონებიდან წმინდა შემოსავალი

	2017	*2016*	*2015*
შემოსავალი მოქმედი ლიზინგიდან	3,361	6,045	5,614
მოგება უძრავი ქონების გაყიდვიდან	4,630	2,929	6,553
შემოსავალი უძრავი ქონებიდან	**7,991**	**8,974**	**12,167**
ზარალი უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად	(2,312)	(343)	(336)
უძრავი ქონებიდან წმინდა შემოსავალი	**5,679**	**8,631**	**11,831**

24. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	*2016*	*2015*
ხელფასები და პრემიები	(183,016)	(150,710)	(136,187)
სოციალური ხარჯები	(3,869)	(3,050)	(2,954)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(186,885)**	**(153,760)**	**(139,141)**

ხელფასები და ბონუსები მოიცავს აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის გეგმის ხარჯებს 39,696, 31,025 და 31,025 ლარს შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერს, 2016 წლის 31 დეკემბერს და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, დაკავშირებული ჯგუფის მიერ დამტკიცებული წილობრივი კომპენსაციის სქემის მიხედვით. (შენიშვნები 26 და 30).

	2017	*2016*	*2015*
იჯარა	(24,195)	(19,458)	(16,308)
მარკეტინგი და რეკლამა	(14,575)	(12,652)	(7,193)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(12,637)	(10,051)	(9,248)
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	(7,977)	(6,508)	(7,211)
საოპერაციო გადასახადები	(6,824)	(5,688)	(4,540)
საოფისე მოწყობილობა	(5,596)	(4,355)	(4,197)
წარმომადგენლობითი ხარჯებ და გასართობი ღონისძიებები	(5,239)	(4,873)	(3,578)
კომუნიკაცია	(5,140)	(4,323)	(4,907)
პერსონალის ტრენინგი და ახალი თანამშრომლების აყვანა	(3,386)	(1,619)	(1,537)
დაზღვევა	(2,757)	(1,904)	(1,756)
უსაფრთხოება	(2,211)	(1,540)	(1,688)
სამგზავრო ხარჯები	(1,641)	(1,029)	(1,407)
საურავები	(49)	(17)	(67)
საბანკო მომსახურება	(6)	(1)	(2)
სხვა	(2,774)	(1,516)	(3,600)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(95,007)**	**(75,534)**	**(67,239)**

აუდიტორის ანაზღაურება

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 2017 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს (დღგ-ს გარეშე):

(ათასი ლარი)

	2017	*2016*
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის განსკუთვნილი გასამჯელო	428	423
დანახარჯები სხვა უზრუნველყოფის მომსახურებისთვის	812	242
დანახარჯები სხვა პროფესიული მომსახურებებით მომსახურებისთვის	-	115
სულ გასამჯელო და დანახარჯები	**1,240**	**780**

სხვა აუდიტორებისთვის ან აუდიტორული ფირმებისთვის გადასახდელი საკომისიოები და დანახარჯები მშობელი კომპანიის და შვილობილი კომპანიების აუდიტისთვის იყო 67 ლარი (2016: 92 ლარი) და ხოლო სხვა პროფესიულ მომსახურებებთან დაკავშირებით 207 ლარი (2016: 146 ლარი) დღგ-ს გარეშე.

25. წმინდა ერთჯერადი მუხლები

	2017	*2016*	*2015*
Visa Inc. and MasterCard-ის C და B კლასის აქციების გაყიდვიდან მოგება	-	16,426	-
მეკავშირე საწარმოებში AFS ინვესტიციის რეკლასიფიკაციაზე მოგება	-	9,626	-
გაუფასურების აღდგენა ძირითად საშუალებებზე	-	-	1,524
კონტრაქტორების მიერ შეუსრულებელ ვალდებულებებზე საურავებიდან მოგება	-	-	-
სხვა ერთჯერადი შემოსავალი/მოგება	-	516	508
სულ ერთჯერადი შემოსავალი/მოგება	**-**	**26,568**	**2,032**
საქმიანობის შეწყვეტის/დაწყების კომპენსაციის ხარჯები	(868)	(12,643)	(1,167)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სრული გამოსყიდვის შედეგად ზარალი	-	(43,919)	-
სესხების დროზე ადრე გადახდის შედეგად ზარალი	-	(6,979)	(4,033)
საკონსულტაციო ხარჯები	-	(5,258)	-
წინასწარ გადახდების გაუფასურება	-	(2,205)	(2,205)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფსურება	-	(1,403)	-
სს პრივატ ბანკის ინტეგრაციის ხარჯები	-	-	(3,731)
ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურება	-	-	(735)
სულ	(2,721)	(3,330)	(820)
სულ ერთჯერადი ხარჯი/ზარალი	**(3,589)**	**(75,737)**	**(12,691)**
წმინდა ერთჯერადი ხარჯი/ზარალი	**(3,589)**	**(49,169)**	**(10,659)**

26. წილობრივი გადახდები

აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის პროგრამა

Sanne Fiduciary Services Limited (“the Trustee”) მოქმედებს ჯგუფის აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით საკომპენსაციო გეგმის (“EECP”) ადმინისტრატორის სახით.ჯგუფი ახორციელებს შენატანებს აღნიშნულ კომპანიაში EECP-ს ფარგლებში გაცემულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის სამართლებრივი დამფუძნებელი არის JSC BGEOGroup, ხოლო ბანკი მოქმედებს როგორც აგენტი ჯგუფსა და დედა კომპანიას შორის.

ჯგუფმა 2017 წელს ჯგუფის შიგნით ანგარიშის შესავსებად განახორციელა 125,270 ლარის (2016: 119,471; 2015: 9,450) კონტრიბუცია წილობრივი ინსტრუმენტების საკომპენსაციო სქემის შესაბამისად.

2017 წელს თებერვალში BGEO PLC-ს ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა გადაეცა BGEO –ს 253,950 ჩვეულებრივი აქცია მმართველი საბჭოსთვის და სამეთვალყურეო საბჭოსთვის და BGEO –ს 70,550 ჩვეულებრივი აქციები ჯგუფის 19 ხელმძღვანელისთვის. მმართველ საბჭოსთვის, სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა 19 ხელმძღვანელისთვის გადაცემული აქციები ექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ორ-წლიან გადაცემას მმართველი საბჭოსთვის და სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სამ-წლიანი გადაცემას ხელმძღვანელებისთვის, რომელთან დაკავშირებითაც ეს გადაცემა გულისხმობს მხოლოდ წილობრივ მფლობელობაში შესვლის პირობების გამოყენებას. ჯგუფი მიიჩნევს 2017 წლის 28 თებერვალს გადაცემის თარიღად. ჯგუფის შეფასებით 2017 წლის 28 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 90.01 ლარი ერთ აქციაზე.

2016 წელს თებერვალში BGEO PLC-ს ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა გადაეცა BGEO –ს 288,500 ჩვეულებრივი აქცია მმართველი საბჭოსთვის და სამეთვალყურეო საბჭოსთვის და BGEO –ს 52,600 ჩვეულებრივი აქციები ჯგუფის 19 ხელმძღვანელისთვის. მმართველ საბჭოსთვის, სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა 19 ხელმძღვანელისთვის გადაცემული აქციები ექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ორ-წლიან გადაცემას მმართველი საბჭოსთვის და სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სამ-წლიანი გადაცემას ხელმძღვანელებისთვის, რომელთან დაკავშირებითაც ეს გადაცემა გულისხმობს მხოლოდ წილობრივ მფლობელობაში შესვლის პირობების გამოყენებას. ჯგუფი მიიჩნევს 2016 წლის 12 თებერვალს გადაცემის თარიღად. ჯგუფის შეფასებით 2016 წლის 12 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 57.83 ლარი ერთ აქციაზე.

(ათასი ლარი)

2015 წლის მარტში BGEO PLC ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა BGEO153,500 ჩვეულებრივი აქცია გადაეცა მმართველი საბჭოს წევრებისთვის და BGEO107,215 ჩვეულებრივი აქცია ჯგუფის 24 აღმასრულებლისთვის. მმართველი საბჭოს წევრებისთვის და აღმასრულებლისთვის გადაცემულ აქციებს აქვთ მინიჭებული ორწლიანი უფლებამოსილება, უწყვეტი დაქირავების ერთდერთი პირობით ორივე შემთხვევაში. ჯგუფი მიიჩნევს 2015 წლის 19 მარტს უფლებამოსილების მინიჭების თარიღად. ბანკის შეფასებით 2015 წლის 19 მარტს აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 57.41 ლარი თითოეულ აქციაზე.

(ათასი ლარი)

26. წილობრივი გადახდები (გაგრძელება)

აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის პროგრამა

2016 წლის ბოლოს და 2017 წელს, მმართველთა ახალი საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს სამწლიან გაუთვალისწინებელ წილობრივი ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ ფიქსირებული კომპენსაციის ხელშეკრულებებს BGEO PLC –სთან 141,000 ჩვეულებრივ აქციასთან დაკავშირებით. თვითოეული ხელმძღვანელისთვის ფიქსირებული აქციების მთლიანი მოცულობა გადანაწილდება სამ თანაბარ ნაწილად 3 თანმიმდევრული წლის განმავლობაში დაწყებული 2018 წლის იანვრიდან, საიდანაც თვითოეული გადაცემა დაექვემდებარება მფლობელობაში შესვლის სამწლიან პერიოდს. ჯგუფი განიხილავს 2016 წლის 11 ოქტომბრის და 2016 წლის 18 ოქტომბერს და 2017 წლის 1 მარტს გადაცემის თარიღად. ჯგუფის შეფასებით 2016 წლის 11 ოქტომბერს და 2016 წლის 18 ოქტომბერს და 2017 წლის 1 მარტს იყო შესაბამისად იყო 86.4, 87.6 და 92.22 ლარი.

2015 წლის ბოლოს და 2016 წელს, მმართველთა ახალი საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს სამწლიან გაუთვალისწინებელ წილობრივი ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ ფიქსირებული კომპენსაციის ხელშეკრულებებს BGEO PLC –სთან 225,000 ჩვეულებრივ აქციასთან დაკავშირებით. თვითოეული ხელმძღვანელისთვის ფიქსირებული აქციების მთლიანი მოცულობა გადანაწილდება სამ თანაბარ ნაწილად 3 თანმიმდევრული წლის განმავლობაში დაწყებული 2017 წლის იანვრიდან, საიდანაც თვითოეული გადაცემა დაექვემდებარება მფლობელობაში შესვლის სამწლიან პერიოდს. ჯგუფი განიხილავს 2015 წლის დეკემბერს და 2016 წლის 6 სექტემბერს გადაცემის თარიღად. ჯგუფის შეფასებით 2015 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 6 სექტემბერს აქციების სამართლიანი ღირებულება შესაბამისად იყო 68.30 და 90.22 ლარი.

.

2015 წლის აგვისტოში მმართველთა საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან გაუთვალისწინებელ წილობრივი ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ ფიქსირებული კომპენსაციის ხელშეკრულებებს BGEO –სთან 904,000 ჩვეულებრივ აქციასთან დაკავშირებით. თვითოეული ხელმძღვანელისთვის ფიქსირებული აქციების მთლიანი მოცულობა გადანაწილდება სამ თანაბარ ნაწილად 3 თანმიმდევრული წლის განმავლობაში დაწყებული 2017 წლის იანვრიდან, საიდანაც თვითოეული გადაცემა დაექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ოთხწლიან პერიოდს. ჯგუფი განიხილავს 2015 წლის 24 აგვისტოს გადაცემის თარიღად. ჯგუფის შეფასებით 2015 წლის 24 აგვისტოს აქციების სამართლიანი ღირებულება შესაბამისად იყო 59.17 ლარი.

ბანკი გასცემს წილის კომპენსაციას მის საშუალო რგოლის თანამშრომლებზეც. 2017 წლის თებერვალში, 2016 წლის თევერვალში და 2015 წლის მარტში, ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა გადაეცა შესაბამისად 131,710, 91,851 და 111,298 ჩვეულებრივი აქცია მისი საშუალო რგოლის თანამშრომლობისთვის. ყველა ეს გადაცემა ექვემდებარება სამწლიან მფლობელობის უფლებას. მუდმივი დასაქმების პირობებში ყველა შემთხვევაში მხოლოდ მფლობელობის უფლების პირობით. ჯგუფი მიიჩნევს 2017 წლის 28 თებერვალს, 2016 წლის 12 თებერვალს, 2016 წლის 12 2015 წლის 19 მარტს აქციების გადაცემის თარიღად. ჯგუფის შეფასებით 2017 წლის 28 თებერვლის და 2015 წლის 19 მარტს აქციების გადაცემისას მათი სამართლიანი ღირებულება შესაბამისად იყო 90.01, 57.83 და 57.41 ლარი ერთ აქციაზე

შეჯამება

შეფასების თარიღისათვის გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება არსებულ საბაზრო კოტირებებზე დაყრდნობით.

წილობრივი გადახდების საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება შეფასების თარიღისათვის შეადგენდა 89.79 ლარს ერთ აქციაზე, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2016 წლის 31 დეკემბერი: 66.60 ლარი ერთ აქციაზე, 2015 წლის 31 დეკემბერს: 58.68 ლარი ერთ აქციაზე)

ჯგუფის მთლიანი წილობრივი გადახდების ხარჯი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 50,393 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერს: 39,696; 2015 წლის 31 დეკემბერი: 31,025 ლარს;) და შეტანილია „ხელფასებსა და თანამშრომლის სხვა სარგებელში" როგორც „ხელფასები და პრემიები".

ვემოთ მოცემულია ძირითადი წილობრივი გადახდების მიმოხილვა:

(ათასი ლარი)

	2017	*2016*	*2015*
გადაცემული წილობრივი ინსტრუმენტების მთლიანი რაოდენობა *	597,210	657,951	1,336,013
– მათ შორის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი და დირექტორთა საბჭო	*394,950*	*513,500*	*1,076,000*
გადაცემის დღეს საშუალო შეწონილი ღირებულება ერთ აქციაზე (ლარის სრული მოცულობით)	89.79	66.60	58.68
ღირებულება გადაცემის დღეს, სულ (ლარი)	**53,626**	**43,821**	**78,395**
წლის განმავლობაში ასახული ხარჯი, სულ (ლარი)	**(50,393)**	**(39,696)**	**(31,025)**

**2015წელს პრემია მოიცავს ფიქსირებულ პროპორციული წილზე დაფუძნებული 964,000 ჩვეულებრივი აქციების კომპენსაციას მმართველი საბჭოს წევრების ახალი დასაქმების ხელშეკრულებაზე, რომელიც გაფორმდა 2015 წლის 24 აგვისტოს მომდევნო 3 წლიანი პერიოდით*

27. რისკის მართვა

შესავალი

იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის მოგებიანი ფუნქციონირებისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობასა და საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები. საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი, თავის მხრივ, იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკიც.

რისკების დამოუკიდებელი კონტროლი არ ითვალისწინებს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემოსთან, ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები. მათი ზედამხედველობა ხორციელდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის საშუალებით.

რისკის მართვის სტრუქტურა

აუდიტის კომიტეტი
აუდიტის კომიტეტი არის დამოუკიდებელი ორგანო და პირდაპირ კონტროლდება საბჭოს მიერ. კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკის შეფასების და რისკის შერბილების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელების პრინციპებზე, სტრუქტურაზე, პოლიტიკასა და ფარგლებზე. აუდიტის კომიტეტიპასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს, მათ შორის და არა მხოლოდ: მაკროეკონომიკური და გარემოსდაცვითი რისკები, საერთო კონტროლირებადი გარემო, ხელით და მოწყობილობით მართვა, განზრახ ან უნებლიე შეცდომების რისკი, თაღლითობის რიკი ან აქტივების უკანონოდ მითვისების რისკი, ინფორმაციის უსაფრთხოება, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, საინფორმაციო და ტექნოლოგიური რისკები, სხვა.

რისკის კომიტეტი

რისკის კომიტეტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ ჯგუფის რისკისადმი მიდრეკილება და საფრთხე მოგვარდეს როგორც სტრატეგიის ნაწილი და შეატყობინოს საბჭოს ამ რისკის სტრატეგიისა და მიდრეკილების ადეკვატურობის შესახებ, თვალყური ადევნოს და აცნობოს საბჭოს ჯგუფის მიმდინარე და მომავალი რისკის საფრხეების შესახებ; თვალყური მიადევნოს და დააკვირდეს ხელმძღვანელობის მიერ რისკის სტრატეგიის შესაბამისად ჯგუფის რისკის საფრთხეების მოგვარებას; შეამოწმოს ჯგუფის რისკის მართვის ეფექტურობა და შიდა კონტროლის სისტემები (გარდა შიდა ფინანსური კონტროლის სისტემისა, რომელზეც პასუხისმგებელია BGEO აუდიტის კომიტეტი); შეაფასოს ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის და რისკის ანგარიშგების ადეკვატურობა და ხარისხი; უზრუნველყოფს, რომ რისკი სათანადოდ იყოს განხილული ჯგუფის ანაზღაურების პოლიტიკაში, თვალყური ადევნოს რისკის მართვასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას მთლიანი მართველი სტრუქტურის ფარგლებში, განიხილოს და დაამტკიცოს ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა.

მმართველი საბჭო
მმართველი საბჭო პასუხისმგებელია რისკის მთლიან მონიტორინგზე ჯგუფის ფარგლებში, რეგულარული დავალებების გადაცემით, სხვადასხვა აღმასრულებელი კომიტეტების შექმნით, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების და მათი განხორციელებისა და შესაბამისი დეპარტამენტებისა და კომიტეტების შექმნით.

ბანკის აქტივისა და ვალებულების მართვის კომიტეტი

(ათასი ლარი)

ბანკის აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი (ALCO) არის რისკის მართვის მთავარი ორგანო. ის პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების, და მათთან დაკავშირებულ ყველა რისკის მართვაზე. ის ასევე პასუხისმგებელია დაფინანსებაზე, კაპიტალის ადეკვატურობის რისკზე, ლიკვიდურობის რისკებსა და ბანკის მარკეტინგულ რისკებზე.

შიდა აუდიტი
ჯგუფის ფარგლებში რისკის მართვის პროცესები მოწმდება ყოველწლიურად შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადექვატურობას, ისე ჯგუფის პროცედურებთან შესაბამისობას. შიდა აუდიტი განიხილავს ხელმძღვანელობასთან ყველა შეფასების შედეგს, ანგარიშებს და რეკომენდაციებს აუდიტის კომიტეტის მიმართ.

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი

რისკების შეფასებისა და ანგარიშგების სისტემები

ჯგუფის რისკების შეფასება ხორციელდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებრივ ვითარებაში წარმოქმნილ მოსალოდნელ დანაკარგებსა და გაუთვალისწინებელ ზარალს, რომელიც ფასდება წარსულში წარმოშობილი ზარალის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მოდელი იყენებს ალბათობას ისტორიულ გამოცდილობაზე დაყრდნობით, რომელიც კორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ჯგუფი განიხილავს სამ სხვადასხვა სცენარს, რომლიდანაც ერთ-ერთი არის საბაზისო სცენარი (პროგნოზირება ნორმალური ბიზნეს გარემოს შემთხვევაში), დანარჩენი ორი კი არის პრობლემატური და სტრესული სცენარები, როდესაც ფაქტობრივად ადგილი აქვს ისეთ ექსტრემალურ მოვლენებს, რომლებიც არ უნდა დამდგარიყო.რისკების მონიტორინგი და კონტროლი უპირატესად ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების საფუძველზე. აღნიშნული ლიმიტები ასახავს როგორც ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიასა და საბაზრო პირობებს, ისე ბანკისათვის მისაღები რისკის დონეს, შერჩეული დარგების ხაზგასმით. გარდა ამისა, ჯგუფი აკონტროლებს და აფასებს რისკის მოცულობას თითოეული სახის რისკსა და საქმიანობასთან მიმართებაში.

ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის, კონტროლისა და ადრეული რისკების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული ინფორმაციის და ახსნა-განმარტებების წარდგენა ხდება დირექტორთა საბჭოსათვის და თითოეული განყოფილების ხელმძღვანელისათვის. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა აგრეგირებული საკრედიტო რისკი, ლიმიტებთან დაკავშირებული გამონაკლისები, ლიკვიდობის კოეფიციენტები და რისკთან დაკავშირებული ცვლილებები. ზედა რგოლის ხელმძღვანელი პერსონალი აფასებს საკრედიტო ზარალების რეზერვის ადეკვატურობას და ყოველთვიურად. თვეში ერთხელ დირექტორთა საბჭოს ეგზავნება საკრედიტო რისკის ანგარიში და ALCO დაწვრილებითი ანგარიში. ეს ანგარიშები მოიცავს ჯგუფის რისკების შეფასებისა და განსაზღვრისათვის აუცილებელ ინფორმაციას.

ჯგუფში თითოეულ რგოლს ეგზავნება სპეციალური ანგარიში, რისკების შესახებ დეტალური, აუცილებელი და განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
ყოველდღიურად დირექტორთა საბჭო და ჯგუფის შესაბამისი თანამშრომლები მსჯელობენ საბაზრო ლიმიტების გამოყენების, ქონებრივი ინვესტიციების და ლიკვიდურობის, ასევე, სხვა რისკების შესახებ

რისკის შერბილება

ჯგუფის რისკების მართვის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს წარმოებული და სხვა ინსტრუმენტების გამოყენება საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის კურსის ცვლილებათა შედეგად წარმოქმნილი რისკების, კაპიტალის რისკის, საკრედიტო რისკისა და პროგნოზირებადი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი რისკების მართვის მიზნით. თუ ისინი გამიზნულია ჰეჯირებისთვის, ისინი არ ექვემდებარება ჰეჯირების ოპერაციის აღრიცხვას.

საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით ჯგუფი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას (უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

რისკის ჭარბი კონცენტრაცია
რისკის კონცენტრაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კონტრაჰენტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბარ უარყოფით გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფი

(ათასი ლარი)

შედარებით მგრძნობიარე იქნება კონკრეტულ სფეროში თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.
ზედმეტი რისკების თავიდან ასაცილებლად, ჯგუფის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს როგორც ფინანსური აქტივების, ასევე ფინანსური ვალდებულებების დივერსიფიცირებული პორტფელის უზრუნველყოფაზე. საკრედიტო რისკების ან ლიკვიდურობის/გადახდის რისკების იდენტიფიცირებული კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად.

საკრედიტო რისკი
საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს წარმოექმნა ზარალი მისი კლიენტების, მეანაბრეთა ან პარტნიორების მიერ მათი საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჯგუფი მართვას და აკონტროლებს საკრედიტო რისკს იმ რისკის მოცულობაზე ლიმიტების დადგენის გზით,რომელთა მიღებაც სურს ინდივიდუალური კონტრაგენტებისათვის, ასევე გეოგრაფიული და დარგობრივი კონცენტრაციისათვის, ამგვარი რისკების გავლენის მონიტორინგის მეშვეობით.

ჯგუფში დანერგილია საკრედიტო ხარისხის განხილვის პროცედურა, რათა დროულად მოხდეს შეთანხმებული მხარეების კრედიტუნარიანობის შესაძლო ცვლილების იდენტიფიცირება. საკრედიტო რისკის კლასიფიცირების სისტემის გამოყენებით, დაწესებულია ლიმიტები კონტრაჰენტებისთვის, რითაც ხდება თითოეული კონტრაგენტისთვის საკრედიტო რეიტინგის მინიჭება. რიკის რეიტინგები ექვმდებარება რეგულარულ შემოწმებას.

საკრედიტო ხარისხის შემოწმების პროცესი საშუალებას აძლევს ჯგუფს შეფასდეს რისკების შედეგის პოტენციური ზარალი, რომლის წინაშეც ის არის და განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიება. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა შემოაფარგლება შესაბამისი ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკი ნებისმიერ დროს ეხება მხოლოდ დადებით სამართლიან ღირებულებას, როგორც ეს ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო ვალდებულებების რისკი

ჯგუფი მომხმარებელს აძლევს გარანტიას, რომლის თანახმად, ჯგუფმა შესაძლოა კლიენტის სახელით გადაიხადოს თანხები. აღნიშნული თანხების მიღება ხდება მომხმარებელთაგან აკრედიტივის პირობების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხებთან დაკავშირებული ანალოგიური რისკების წინაშე და მათი შემცირება ხდება კონტროლის იდენტური პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისა.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მართვა ხდება ჯგუფის შიდა საკრედიტო რეიტინგებით. ქვემოთ მოყვანილია აქტივების ტიპების საკრედიტო ხარისხი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სესხებთან დაკავშირებულ მუხლებთან მიმართებაში, ჯგუფის საკრედიტო სისტემაზე დაყრდნობით.

(ათასი ლარი)

31 დეკემბერი 2017	შენიშვნა	*არც ვადაგადაცილებული და არც*			*ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული*	*სულ*
		მაღალი რეიტინგი	*სტანდარტული რეიტინგი*	*არასტანდარტული რეიტინგი*		
მოთხოვნები საკრედიტო	8	1,216,343	-	-	-	1,216,343
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	1,613,558	-	-	-	1,613,558
კლიენტებზე გაცემული სესხები:	10					
კომერციული სესხები		1,820,670	275,044	6,193	310,606	2,412,513
სამომხმარებლო სსხები		1,580,503	37,612	31,915	101,076	1,751,106
მიკრო, მცირე და საშუალო		1,547,233	105,302	30,019	93,490	1,776,044
იპოთეკური სესხები		1,619,638	28,961	19,783	44,133	1,712,515
ოქროს გირავნობით		65,865	-	-	2,075	67,940
		6,633,909	**446,919**	**87,910**	**551,380**	**7,720,118**
მოთხოვნები ფინანსური	11	48,069	12,161	2,063	5,393	67,686
სულ		**9,511,879**	**459,080**	**89,973**	**556,773**	**10,617,705**

31 დეკემბერი 2016	შენიშვნა	*არც ვადაგადაცილებული და არც*			*ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული*	*სულ*
		მაღალი რეიტინგი	*სტანდარტული რეიტინგი*	*არასტანდარტული რეიტინგი*		
მოთხოვნები საკრედიტო	8	940,485	-	-	-	940,485
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	1,283,607	-	-	-	1,283,607
კლიენტებზე გაცემული სესხები:	10					
კომერციული სესხები		1,693,220	286,282	17,814	475,700	2,473,016
სამომხმარებლო სსხები		1,243,553	21,520	23,740	78,415	1,367,228
მიკრო, მცირე და საშუალო		1,225,610	113,565	37,761	117,001	1,493,937
იპოთეკური სესხები		1,134,266	49,285	15,052	35,573	1,234,176
ოქროს გირავნობით		56,977	-	-	3,708	60,685
		5,353,626	**470,652**	**94,367**	**710,397**	**6,629,042**
მოთხოვნები ფინანსური	11	1,426	7,525	2,337	3,307	14,595
სულ		**7,579,144**	**478,177**	**96,704**	**713,704**	**8,867,729**

(ათასი ლარი)

31 დეკემბერი 2015	Notes	Neither past due nor impaired			Past due or individually impaired	Total
		High grade	Standard grade	Sub-standard grade		
მოთხოვნები საკრედიტო	8	718,677	-	-	-	718,677
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	901,945	-	-	-	901,945
კლიენტებზე გაცემული სესხები:	10					
კომერციული სესხები		1,830,923	196,607	57,085	354,661	2,439,276
სამომხმარებლო სსხები		1,047,775	22,810	22,642	71,880	1,165,107
მიკრო, მცირე და საშუალო		892,014	80,064	27,828	42,023	1,041,929
იპოთეკური სესხები		750,455	22,033	11,223	30,633	814,344
ოქროს გირავნობით		61,140	-	-	-	61,140
		4,582,307	**321,514**	**118,778**	**499,197**	**5,521,796**
მოთხოვნები ფინანსური	11	4,283	8,375	855	2,048	15,561
სულ		**6,207,212**	**329,889**	**119,633**	**501,245**	**7,157,979**

კლიენტებზე გაცემული ვადაგადაცილებული სესხები, რომელთა ვადიანობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ, არის სესხები, რომელთა ვადაგადაცილება შეადგენს მინიმუმ ერთ დღეს და არ არის გაუფასურებული.

ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, ჯგუფი უნდა ფლობდეს სათანადო და ზუსტ რისკის რეიტინგებს საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში. აღნიშნული მოითხოვს შესაბამისი რისკების მართვას და საკრედიტო რისკების შედარებას ყველა სახის საქმიანობისათვის, გეოგრაფიული რეგიონებისა თუ პროდუქციისათვის. კონტრაჰენტის რისკის გაზომვის მიზნებისთვის, რეიტინგების სისტემა მოიცავს ფინანსურ ანალიზს. შიდა რეიტინგები დაყოფილია კატეგორიებად, ჯგუფის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული, ბანკის მიერ ასე განისაზღვრება:

- ფინანსური აქტივი, რომელიც არც 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულია და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული, შეფასებულია მაღალი რეიტინგის მქონედ;
- ფინანსური აქტივი, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისთვის, მაგრამ ისტორიულად ქონდა 30 დღეზე მეტი მაგრამ 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება, შეფასებულია სტანდარტული რეიტინგის მქონედ;ფინანსური აქტივი, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ ისტორიულად 60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, ან თუ მსესხებელს გააჩნია დამატებითი 60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხი საანგარიშგებო თარიღისათვის, შეფასებულია არასტანდარტული რეიტინგის მქონედ.

გადავადებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ვადიანობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

31 დეკემბერი 2017	Less than 30 days	31 to 60 days	61 to 90 days	More than 90 days	Total
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებო სესხები	42,625	15,044	12,321	28,907	98,897
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	7,486	8,822	4,777	19,288	40,373
იპოთეკური სესხები	14,446	4,969	2,144	7,903	29,462
კომერციული სესხები	1,487	452	208	227	2,374
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	2,499	227	-	74	2,800
სულ	**68,543**	**29,514**	**19,450**	**56,399**	**173,906**

(ათასი ლარი)

31 დეკემბერი 2016	***Less than 30 days***	***31 to 60 days***	***61 to 90 days***	***More than 90 days***	***Total***
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებლო სესხები	34,353	10,940	9,349	20,995	75,637
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	20,035	9,494	6,479	29,874	65,882
იპოთეკური სესხები	10,074	4,472	1,840	7,319	23,705
კომერციული სესხები	10,235	4,558	387	1,621	16,801
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	832	-	-	-	832
სულ	**75,529**	**29,464**	**18,055**	**59,809**	**182,857**

31 დეკემბერი 2015	***Less than 30 days***	***31 to 60 days***	***61 to 90 days***	***More than 90 days***	***Total***
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებლო სესხები	29,592	8,498	6,930	23,724	68,744
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	5,196	4,148	1,000	4,259	14,603
იპოთეკური სესხები	7,594	1,207	908	5,023	14,732
კომერციული სესხები	21,727	1,227	25	1,596	24,575
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	238	-	2	-	240
სულ	**64,347**	**15,080**	**8,865**	**34,602**	**122,894**

იხილეთ შენიშვნა 10 და 11 უფრო დეტალური ინფორმაციისათვის ფინანსური იჯარის მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებით.

ჯგუფი კონკრეტულად ამოწმებს სესხების ეფექტურობას, რომელთა გადახდა გადავადებულია 90 დღეზე მეტი ხნით. ასეთი სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულება (ე.ი. საბალანსო ღირებულება ნებისმიერი გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე) მოიცავდა 278,284 ლარს, 293,054 ლარს და 166,224 ლარს 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრისთვის, შესაბამისად.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლის პირობებიც ხელახლა შეთანხმებულია

წინამდებარე ცხრილი გვიჩვენებს ხელახლა შეთანხმებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, კლასების მიხედვით.

	2017	***2016***	***2015***
კლიენტებზე გაცემული სესხები:			
კომერციული სესხები	103,365	235,026	141,294
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	47,539	37,003	20,890
იპოთეკური სესხები	44,058	38,757	28,594
სამომხმარებლო სესხები	39,318	29,828	18,243
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	5,508	836	-
სულ	**239,788**	**341,450**	**209,021**

გაუფასურების შეფასება

სესხის გაუფასურების შეფასებისას გასათვალისწინებელია: ნებისმიერი ძირითადი თანხა ან მასზე დარიცხული პროცენტის ნებისმიერი გადახდა ვადაგადაცილებულია რამდენიმე დღით ან თუ ცნობილია რაიმე სირთულეები კონტრაგენტის ფულად ნაკადებში, არის თუ არა საკრედიტო რეიტინგის კლება, კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევა. ჯგუფი ახორციელებს გაუფასურების შეფასებას ორ სფეროში: ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები და კოლექტიურად შეფასებული რეზერვები. სესხები ინდივიდუალურად გაუფასურებულია თუ ისინი გადავადებულია რამდენიმე დღეზე მეტით, როგორც

(ათასი ლარი)

აღწერილია ჯგუფის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ან ვალის მომსახურების ისტორია დარღვეულია კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლით, როგორც აღწერილია ჯგუფის მეთოდოლოგიის შესაბამისად ან დადგენილია ნებისმიერი სხვა სახის დარღვევა. ასეთი ქვედა სესხის გაუფასურება შეფასებულია ინდივიდუალურად, და არა ჯგუფის კოლექტიური გაუფასურების შეფასების მოდელის გამოყენებით.

(ათასი ლარი)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის განსაზღვრის მიზნით ჯგუფი განიხილავს ყველა ინდივიდუალურ მნიშვნელოვან კრედიტებს და ახდენს მათ კლასიფიკაციას იმის მიხედვით ისინი ინდივიდუალურად არის გაუფასურებული თუ არ არის გაუფასურებული. ამ ინდივიდუალური მნიშვნელოვანი სესხების რეზერვი, რომელიც შეფასდება, როგორც გაუფასურებული (იხილეთ განსაზღვრება ზემოთ) განისაზღვრება დაკავშირებული საკრედიტო რისკის ინდივიდუალურად შეფასებისას სათანადო საკრედიტო რეიტინგის მინიჭებით. არამნიშვნელოვანი სესხის რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია, როგორც ინდივიდუალურად გაუფასურებული (იხილეთ განმარტება ქვემოთ) ასევე ფასდება ინდივიდუალურად. დანაკარგების რეზერვი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ინდივიდუალურად არგაუფასურებული, შეფასებულია კოლექტიური შეფასების მეთოდით, რომელიც აღწერილია ქვემოთ. რეზერვის მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული პუნქტები მოიცავს პარტნიორის ბიზნეს გეგმის მდგრადობას, მის უნარს გამოასწოროს მდგომარეობა ფინანსური სირთულეების წარმოქმნის შემთხვევაში, გაკოტრების შემთხვევაში განსაზღვრული ქვითრების და მოსალოდნელი დივიდენდების გადახდას, სხვა ფინანსური დახმარების ხელმისაწვდომობას და რეალიზებად ღირებულებას, მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადის ვადებს და მსესხებელის საკრედიტო ისტორიას. გაუფასურების შედეგად დანაკარგები შეფასებულია თვითოეულ ანგარიშგების დღეს, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას.

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

რეზერვების შეფასება კოლექტიურად ხდება იმ სესხებიდან წარმოშობილი ზარალისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის არსებითი (საკრედიტო ბარათების, იპოთეკური სესხისა და უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო სესხების ჩათვლით) და იმ სესხებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითია, მაგრამ არ არსებობს ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. რეზერვების შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით ყველა ცალკეული პორტფელისათვის.

კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს გაუფასურებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს პორტფელში, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. გაუფასურების ხარჯის შეფასებისას მხედველობაში მიიღება: პორტფელის ისტორიული ზარალი, მიმდინარე ეკონომიკური პირობები, დროის სხვაობა ზარალის წარმოშობასა და მის იდენტიფიცირებას შორის, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის და გაუფასურების შემდგომი ამოღების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღნიშნულ პერიოდს, რომელმაც შესაძლოა ერთი წელი შეადგინოს. შემდეგ ხდება გაუფასურების რეზერვის გადახედვა საკრედიტო მართვის სამსახურის მიერ, ჯგუფის ზოგად პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და მათთვის რეზერვის შექმნა ხდება სესხების ანალოგიურად.
ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ.

(ათასი ლარი)

	2017			
	საქართველო	OECD	დსთ და სხვა	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	475,133	929,676	96,845	1,501,654
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,023,145	182,699	10,499	1,216,343
გასაყიდად არსებული კლიენტებზე გაცემული	980,876	559,468	73,415	1,613,759
სესხები	7,059,260	-	386,318	7,445,578
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	52,109	-	13,197	65,306
ყველა სხვა აქტივები	702,272	4,271	71,533	778,076
	10,292,795	**1,676,114**	**651,807**	**12,620,716**
ვალდებულებები:				
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	5,356,374	663,234	1,104,258	7,123,866
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,455,058	1,631,331	75,820	3,162,209
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,149	694,994	28,512	749,655
ყველა სხვა ვალდებულებები	98,511	571	3,985	103,067
	6,936,092	**2,990,130**	**1,212,575**	**11,138,797**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**3,356,703**	**(1,314,016)**	**(560,768)**	**1,481,919**

(ათასი ლარი)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის (გაგრძელება)

	2016				2015			
	საქართველო	OECD	დსთ და სხვა	სულ	საქართველო	OECD	დსთ და სხვა	სულ
აქტივები:								
ფული და ფულის ეკვივალენტები	608,415	812,798	65,957	1,487,170	568,759	661,543	146,480	1,376,782
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	933,638	3,287	3,560	940,485	619,671	95,100	3,906	718,677
გასაყიდად არსებული	912,345	286,832	84,725	1,283,902	823,193	79,047	-	902,240
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,030,838	-	349,127	6,379,965	5,005,171	9,340	308,376	5,322,887
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	123	-	12,973	13,096	2,273	-	11,737	14,010
ყველა სხვა აქტივები	595,611	4,950	27,753	628,314	600,497	4,630	29,188	634,315
	9,080,970	**1,107,867**	**544,095**	**10,732,932**	**7,619,564**	**849,660**	**499,687**	**8,968,911**
ვალდებულებები:								
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	4,270,165	557,909	945,438	5,773,512	3,628,734	592,673	804,270	5,025,677
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,774,115	1,583,393	110,845	3,468,353	424,705	1,035,802	217,080	1,677,587
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	153,145	24,126	177,271	-	940,945	-	940,945
ყველა სხვა ვალდებულებები	68,359	7,091	5,202	80,652	124,876	185	4,710	129,771
	6,112,639	**2,301,538**	**1,085,611**	**9,499,788**	**4,178,315**	**2,569,605**	**1,026,060**	**7,773,980**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**2,968,331**	**(1,193,671)**	**(541,516)**	**1,233,144**	**3,441,249**	**(1,719,945)**	**(526,373)**	**1,194,931**

ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ჯგუფი ვერ დაფარავს მის ფინანსურ ვალდებულებებს ვადის დადგომისას, ჩვეულებრივ თუ სტრესულ ვითარებაში. აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით, ხელმძღვანელობას მის ძირითად დეპოზიტებთან ერთად გააჩნია სხვადასხვა დაფინანსების წყარო. ჯგუფი ახდენს აქტივების ლიკვიდურობასთან მიმართებაში მართვას და სამომავლო ფულადი ნაკადების და ლიკვიდურობის ყოველდღიურ მონიტორინგს. აღნიშნული მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებას და იმგვარი უზრუნველყოფის არსებობას, რომლის გამოყენებაც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დამატებითი დაფინანსებისათვის.

ჯგუფი ინარჩუნებს ბაზარზე ფართოდ კოტირებულ და დივერსიფიცირებულ სხვადასხვა აქტივების პორტფელს, რომელთა ლიკვიდაციაც მარტივად არის შესაძლებელი ფულადი ნაკადების მიზნებისათვის გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. ლიკვიდურობის მიზნებისთვის, ჯგუფს შეუძლია საკრედიტო ხაზების გამოყენება. დამატებით, ჯგუფი ფლობს იმგვარ დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობა დამოკიდებულია მოზიდულ სახსრებზე.

ჯგუფის მიერ ლიკვიდურობის დონის შეფასება და მართვა ხდება სებ-ის მიერ ბანკისათვის დაწესებული ლიკვიდურობის კოეფიციენტის საფუძველზე. სებ-ს მინიმალური მოთხოვნით ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის 30%, გაანგარიშებული როგორც საშუალო ლიკვიდური აქტივები თვის განმავლობაში (განსაზღვრული სებ-ის მიერ) გაყოფილი იმავე თვის ვალდებულებებზე (სებ-ის მიერ განსაზღვრული გარკვეული გამონაკლისებით). 2017, 2016 წლის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული კოეფიციენტები შემდეგია.

	2017, %	2016, %	2015, %
ლიკვიდურობის საშუალო კოეფიციენტი	39.8%	43.6%	38.1%
ლიკვიდურობის მაქსიმალური კოეფიციენტი	47.0%	62.5%	48.0%
ლიკვიდურობის მინიმალური კოეფიციენტი	31.3%	34.1%	28.9%

ლიკვიდურობის საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება სს "საქართველოს ბანკისათვის", როგორც დღიური ლიკვიდურობის კოეფიციენტის წლიური საშუალო არითმეტიკული, სებ-ის მიერ განსაზღვრული ლიკვიდური აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებით მიღებული კოეფიციენტის სახით:

ლიკვიდური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სხვა აქტივებს, რომლებიც დაუყოვნებლივ კონვერტირდებიან ფულად სახსრებში. ეს აქტივები ითვალისწინებს საქართველოს

(ათასი ლარი)

მთავრობის მიერ გამოშვებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, ასევე „სებ“-ის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატებს, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების გარეშე, ბანკთაშორის დეპოზიტების, და/ან მთავრობების და არა-ეგთოს ქვეყნების ცენტრალური ბანკების სასესხო ფასიანი ქაღალდების, დაყადაღებულ ნოსტრო ანგარიშებზე არსებული თანხების, გაუფასურებული ბანკთაშორის დეპოზიტების, „სებ“-თან სავალდებულო რეზერვზე არსებული თანხების გარდა, რომლებიც დაგირავებულია „სებ“-იდან მიღებული სესხების გამო.
ვალდებულებები მოიცავს საერთო საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც გამოყენებულ ან გადახდილ უნდა იქნას ანგარიშგების თარიღიდან ექვს თვეზე გვიან, მიმატებული გარესაბალანსო ვალდებულებები დაფარვამდე დარჩენილი ვადით, რომელიც შეადგენს ანგარიშგების თარიღის შემდეგ ექვს თვეზე ნაკლებს. გარესაბალანსო ვალდებულებები მოიცავს ყველა ვალდებულებას ფინანსური გარანტიების და აკრედიტივების გარდა, რომლებიც სრულად არის უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით ბანკში, და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაქსიმალური და მინიმალური განაკვეთები აღებულია სათანადო საანგარიშგებო წლების ისტორიული მონაცემებიდაან.

გარდა ამისა, 2017 წლის 15 მაისს სებ-მა გამოსცა ბრძანება კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტის შესახებ, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ამ ბრძანების შესაბამისად, ბანკები ვალდებული არიან იქონიონ ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მომდევნო 30 დღის განმავლობაში სუფთა ფულადი სახსრების ნაკადებთან. ეს ბრძანება მოითხოვს, რომ პიკის არარსებობისას, შეფარდების მაჩვენებელი იქნება არანაკლებ 100%. ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 112.4%

ჯგუფი ასევე მართავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებში შეთანხმებას და აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს უარყოფით სხვაობაზე ბანკის მთლიან ავტონომიურ სავალდებულო კაპიტალთან შედარებით, რომელიც გაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად. კოეფიციენტები შეფასებულია და მოწმდება ყოველთვიურად და დარდება დადგენილ ლიმიტებს. გადახვევის შემთხვევაშიALCO განიხილავს და ამტკიცებს ცვლილების სტრატეგიებს/ღონისძიებებს.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პარამეტრები საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვების ვალდებულებაზე დაყრდნობით. დაფარვებისათვის, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, მოიაზრება, რომ შეტყობინება მყისიერად მოხდა. თუმცა, ბანკი ელის, რომ მეანაბრეთა უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს დაფარვას ყველაზე ადრეული შესაძლო თარიღით და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელფულად ნაკადებს, როგორც ეს ნაჩვენებია ბანკის დეპოზიტის მომსახურების ისტორიაში.

.

ფინანსური ვალდებულებები	*3 თვეზე ნაკლები*	*3 -დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წლის შემდეგ*	*სულ*
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	2,952,578	3,624,515	626,061	65,597	7,268,751
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა სესხები	1,321,995	538,270	962,370	917,642	3,740,277
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15,036	140,508	749,631	-	905,175
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	3,139	809	-	-	3,948
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**4,292,748**	**4,304,102**	**2,338,062**	**983,239**	**11,918,151**

(ათასი ლარი)

ფინანსური ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***3 თვეზე ნაკლები***	***3 -დან 12***	***1-დან 5***	***5 წლის***	***სულ***
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	2,231,133	3,119,928	504,757	49,205	5,905,023
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა სესხები	1,670,504	530,156	1,116,111	755,118	4,071,889
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	31,520	20,905	139,825	-	192,250
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	8,466	6,589	634	-	15,689
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**3,941,623**	**3,677,578**	**1,761,327**	**804,323**	**10,184,851**

ფინანსური ვალდებულებები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***3 თვეზე ნაკლები***	***3 -დან 12***	***1-დან 5***	***5 წლის***	***სულ***
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	3,227,581	1,271,937	616,040	60,094	5,175,652
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა სესხები	304,373	351,390	544,589	515,649	1,716,001
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	48,477	18,552	971,731	-	1,038,760
სხვა ვალდებულებები	3,052	-	-	-	3,052
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**3,583,483**	**1,641,879**	**2,132,360**	**575,743**	**7,933,465**

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის შეთანხმებულ და პირობით ფინანსურ ვალდებულებებს სკონტრაქტის შესაბამისად ვადის ამოწურვას დაფარვის ვადის მიხედვით.

	3 თვეზე ნაკლები	***3 -დან 12***	***1-დან 5***	***5 წლის***	***სულ***
31 დეკემბერი 2017	398,504	192,724	329,458	103,244	1,023,930
31 დეკემბერი 2016	343,628	218,438	228,957	41,950	832,973
31 დეკემბერი 2015	409,444	298,527	136,058	17,265	861,294

ჯგუფი არ ელის, რომ ყველა პირობითი ვალდებულება იქნება დაფარული ვადის ამოწურვამდე

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. ისტორიულად, მათი ლიკვიდაცია უფრო გრძელვადიან პერიოდში მოხდა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ცხრილებში ზემოთ. აღნიშნული ნაშთები ჩართულია 3 თვეზე ნაკლები ვადის მქონე ვალდებულებებში.

მეანაბრეთა წინაშე ვალდებულებებში ჩართულია ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკმა ამგვარი დეპოზიტი უნდა დაფაროს დეპოზიტორის მოთხოვნისას (შენიშვნა 17).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსის და კაპიტალის ინსტრუმენტებზე ფასთა რყევით. ჯგუფი საბაზრო რისკს ყოფს სავაჭრო ან არასავაჭრო პორტფელებთან მიმართებაში. მათი მართვა და მონიტორინგი ხდება მგრძნობელობის ანალიზის გამოყენებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი
საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობის რისკი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. წინამდებარე ცხრილში აღწერილია საპროცენტო განაკვეთების გონივრული შესაძლო ცვლილებების მგრძნობელობა, მაშინ, როდესაც ყველა სხვა კომპონენტი უცვლელია, ჯგუფის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების მგრძნობელობა წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების სავარაუდო ცვლილებების გავლენას ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე,

(ათასი ლარი)

ცვალებადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცვლილებები საბაზისო პუნქტებში გამოითვლება როგორც დღიური ცვლილებების სტანდარტული დევიაციები მცურავ სავალუტო კურსებში ბოლო თვის განმავლობაში, გამრავლებული შესაბამის მცურავ განაკვეთებზე. 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისთვის

ვალუტა	*საბაზისო პუნქტის ზრდა 2017*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2017*	*სრულ შემოსავლის მგრძნობელობა 2017*
GEL	13	443	(1,159)
EUR	1	(22)	-
USD	3	(73)	-

ვალუტა	*საბაზისო პუნქტის კლება 2017*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2017*	*სრულ შემოსავლის მგრძნობელობა 2017*
GEL	13	(443)	1,159
EUR	1	22	-
USD	3	73	-

ვალუტა	*საბაზისო პუნქტის ზრდა 2016*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2016*	*სრულ შემოსავლის მგრძნობელობა 2016*
GEL	206	261	(1,758)
EUR	1	1	-
USD	3	69	-

ვალუტა	*საბაზისო პუნქტის კლება 2016*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2016*	*სრულ შემოსავლის მგრძნობელობა 2016*
GEL	206	(261)	1,758
EUR	1	(1)	-
USD	3	(69)	-

ვალუტა	*საბაზისო პუნქტის ზრდა 2015*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2015*	*სრულ შემოსავლის მგრძნობელობა 2015*
GEL	63	1,887	(5,080)
EUR	20	81	-
USD	5	187	-

ვალუტა	*საბაზისო პუნქტის კლება 2015*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2015*	*სრულ შემოსავლის მგრძნობელობა 2015*
GEL	63	(1,887)	5,080
EUR	20	(81)	-
USD	5	(187)	-

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. მმართველმა საბჭომ დააწესა ლიმიტები განთავსებულ სახსრებზე ვალუტების მიხედვით, სებ-ის ინსტრუქციებზე დაყრდნობით, ხოლო აღნიშნულის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის არასავაჭრო ფულადი აქტივები და ვალდებულებები და პროგნოზირებული ფულადი ნაკადები, ძირითად ვალუტებში, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათასი ლარი)

